პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

□ შაბათი 22 აპრილი 1978 წ. □ № 95 (17139) □ ფასი 2 კაპ.

1920 □ გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან 1978

დღეს ლენინურ ბიბლიოთეკას შაბათობაა!

ყველანი შაბათობაზე!

ვ. ი. ლენინის დაბადების 108-ე წლისთავი

გუშინ კრემლში

მოსკოვი. პირველი განვითარებული სოციალიზმის ქვეყნისათვის — თვისი დიადი მრავალეროვანი სამშობლოსათვის სიამაყის გრძნობით ეგებებიან საბჭოთა ადამიანები კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამფუძნებლისა და ხელმძღვანელის, გენიალური მოაზროვნისა და რევოლუციონერის ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების 108-ე წლისთავს.

ვ. ი. ლენინის სახელი და საქმე ახლობელი და ძვირფასია მსოფლიოს ყველა ადამიანისათვის.

... ლენინი, — აღნიშნა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, — რჩება ჩვენი საქმეების ცოცხალ მონაწილედ, ჩვენს საიმედო და ბრძენ მასწავლებლად".

ლენინის გენით არის გაცისკროვნებული საბჭოთა ხალხის გამარჯვებები და მიღწევები სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში, მსოფლიო რევოლუციური, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმატებანი.

21 აპრილს კრემლის ყრილობათა სასახლეში გაიმართა ღირსშესანიშნავი თარიღისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა. აქ შეიკრიბნენ მოსკოვის და მისი ოლქის მოწინავენი და წარმოების ნოვატორები, პარტიის ვეტერანები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, საბჭოთა შეიარაღებული ძალების მეომრები, პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები. კრებას დაესწრნენ უცხოელი დიპლომატები, საზღვარგარეთელი სტუმრები, საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტები.

17 საათი. მეუხარე, ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ სხდომის მონაწილენი ამხანაგებს **ლ. ი. ბრეჟნევს, ვ. ვ. გრიშინს, ა. ა. გრომიკოს, ა. ნ. კოსიგინს, თ. დ. კულაკოვს, კ. ტ. მაზუროვს, ა. ი. პელშეს, მ. ა. სუსლოვს, დ. თ. უსტინოვს, პ. ნ. დემიჩევს, ვ. ვ. კუზნეცოვს, ბ. ნ. პონომარიოვს, მ. ს. სოლომენცევს, კ. უ. ჩერნენკოს, ი. ვ. კაპიტონოვს, ვ. ი. დოლგიხს, მ. ვ. ზიმიანინს, ი. პ. რიაბოვს, კ. ვ. რუსაკოვს;**

პრეზიდიუმში იყვნენ აგრეთვე ბრაზილიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. კ. პრესტესი, ურუგვაის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი რ. არისმენდი, ეკვადორის კომპარტიის გენერალური მდივანი პ. ა. საადი.

აქვე იყვნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეების მოადგილეები, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტისა და მოსკოვის საოლქო კომიტეტის მდივნები, ლენინური პარტიის ვეტერანები, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის წარჩინებული მშრომელები, თვალსაჩინო მხედართმთავრები, მეცნიერები, საზოგადოებრივი და შემოქმედებითი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

საზეიმო სხდომა გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **ვ. ვ. გრიშინმა.**

ღღერს საბჭოთა კავშირის ჰიმნი.

მოხსენება „ლენინიზმი — რევოლუციური ბრძოლისა და კომუნისტური აღმშენებლობის მეცნიერება" გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ **მ. ს. სოლომენცევმა.**

მოხსენება ყურადღებით მოისმინეს. დარბაზში ხშირად გაისმოდა ტაში.

საზეიმო სხდომის მონაწილენი ფეხზე დგებიან და მღერიან პარტიულ ჰიმნს „ინტერნაციონალს".

შემდეგ გაიმართა დიდი საზეიმო კონცერტი. (საკდესი).

მოსკოვი. 21 აპრილს კრემლის ყრილობათა სასახლეში გაიმართა საზეიმო სხდომა, რომელიც მიეძღვნა ვ. ი. ლენინის დაბადების 108-ე წლისთავს.
სურათზე: საზეიმო სხდომის პრეზიდიუმში.

ტასს ფოტო საკდესის საქინფორმი.

საზეიმო სხდომა თბილისში

21 აპრილს ღირსშესანიშნავი თარიღისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე თბილისის ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში შეიკრიბნენ საქართველოს დედაქალაქის წარმოების მოწინავენი, პარტიის ვეტერანები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

საზეიმო სხდომის პრეზიდიუმში იყვნენ ამხანაგები **პ. გ. გილაშვილი, ა. ნ. ინაური, შ. დ. კიკნაძე, გ. ვ. კოლბინი, ო. თ. კულიშევი, თ. ნ. შენთუშაშვილი, ზ. ა. პატარიძე, ჯ. ი. პატიაშვილი, ვ. მ. სიხარაძე, ე. ა. შევარდნაძე, ო. ე. ჩერქეზია, ხ. ე. ხაბიშვილი,** პარტიის ვეტერანები, პარტიული და საბჭოთა დაწესებულებების ხელმძღვანელები, სოციალისტური შეჯიბრების მოწინავენი, საბჭოთა არმიის გენერალი.

საზეიმო სხდომა გახსნა საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პირველმა მდივანმა **თ. ნ. შენთუშაშვილმა.**

ღღერს საბჭოთა კავშირისა და საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნები.

საზეიმო სხდომის მონაწილეებმა დიდი აღმავლობით აირჩიეს საპატიო პრეზიდიუმში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

მოხსენება ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების 108-ე წლისთავის შესახებ გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა **გ. ვ. კოლბინმა.**

— აპრილის ამ დარიან დღეებში, — თქვა ამხ. გ. ვ. კოლბინმა, — მთელი ჩვენი დიადი ქვეყანა, მსოფლიოს ყველა პროგრესული ადამიანი დიდი სიხარულითა და აღმავლობით აღნიშნავს კაცობრიობის ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე ნათელ დღეს — ვ. ი. ლენინის დაბადების დღეს.

ამ დღეს ჩვენ, დიდი ბელადისა და მასწავლებლის მიმდეგარნი, თითქოს ანგარიშს ვაბარებთო მას გაწეული მუშაობის შესახებ. კიდევ ერთხელ ვამოწმებთ ჩვენს კურსს ყოველსმძლე ლენინური მოძღვრების უტყუარი კომპასით.

თითოეული საბჭოთა რესპუბლიკის უდიდეს პროგრესს ადასტურებს მრავალი მაგალითი. იგი თვალსაჩინოდ ჩანს ჩვენი რესპუბლიკის — საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მაგალითთითაც.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა გადაიქცა ერთ-ერთ თანასწორუფლებიან მომე მოკავშირე რესპუბლიკად, რომელსაც აქვს თანამედროვე სოციალისტური ინდუსტრია, მრავალდარგოვანი საზოგადოებრივი სოფლის მეურნეობა, მოწინავე კულტურა. დღეს ეს არის არა მარტო მეგენახეობის, მეჩაიეობის, მეციტრუსეობის მხარე, არამედ დიდი ინდუსტრიის მხარეც, რომელიც ინტენსიურად ვითარდება. ქართველები, რუსების, აფხაზების, ოსების, აზერბაიჯანელების, სომხებისა და რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრებ სხვა ეროვნებათა მოქალაქეების გაერთიანებული მეცადინეობით წყდება დიდი სახელმწიფო მნიშვნელობის საკითხები. იზრდება სამრეწველო პოტენციალი, წვლილი საერთო-სახელმწიფო ყოფაში, იქმნება მატერიალური და სულიერი ღირებულებანი.

დიდი ლენინის ბრძნული ჩანაფიქრი მთელი კავკასიის საწარმოო ძალების დაჩქარებული განვითარების შესახებ საბჭოთა ხელისუფლების წლებში გადაიქცა რეალობად, რომელიც ყველას ანცვიფრებს თავისი გაქანებითა და მასშტაბით.

რესპუბლიკის ეკონომიკის დარგში მიღწეული დიდი წარმატებანი განუხრელად არის დაკავშირებული სოციალური ურთიერთობის, მეცნიერების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების სფეროში პროგრესული ცვლილებების განხორციელებასთან. განუხრელად იზრდება ადამიანთა მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის დონე.

ყოველივე ეს შედეგია იმ დიდი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობისა, რომელსაც საქართველოს კომუნისტური პარტია ეწევა, რათა დარაზმოს და წარმართოს მრავალრიცხოვანი კოლექტივების, კომუნისტებისა და უპარტიოების, სხვადასხვა ეროვნების ადამიანთა საქმიანობა დიდი ერთული ამოცანების გადასაწყვეტად. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ადამიანთა ინტერნაციონალურ აღზრდას, თქვა შემდეგ ამხ. გ. ვ. კოლბინმა.

სკკპ XXV ყრილობამ პარტიულ ორგანიზაციებს მოსთხოვა ყოველმხრივ გაძლიერონ ბრძოლა, რომელიც წარმოებს მშრომელთა აღსაზრდელად საბჭოთა პატრიოტიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით. სსრ კავშირში ეროვნული ურთიერთობის განვითარების მთავარი ტენდენციაა ერებისა და ეროვნებების აყვავება და დაახლოება, მათი სრული ერთიანობის მიღწევა.

ეროვნული ურთიერთობის საკითხები — ეს არის წმინდა პარტიული, თანაც უმთავრესი საკითხები. ყოველივე ეს გამოიხატა საქართველოს სსრ კონსტიტუციაშიც, რომელიც ამ რამდენიმე დღის წინ მიეღეთ. იგი შემუშავებულია უკვე დამტკიცებული და მოქმედი სსრ კავშირის კონსტიტუციის შესაბამისად, ასახავს რესპუბლიკის ეროვნულ და სხვა თავისებურებებს. რესპუბლიკის კონსტიტუცია სტიმულს მისცემს ახალ შრომითს წარმატებებს სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგში, ხელს შეუწყობს ჩვენი სამშობლოს შემდგომ აყვავებას.

საზეიმო სხდომა დახურულად გამოცხადდა.

• • •

სხდომის მონაწილეებს გაუმართეს კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს ხელოვნების ოსტატები.

(საქინფორმი).

ლენინიზმი — რევოლუციური ბრძოლისა და კომუნისტური აღმშენებლობის მეცნიერება

ამხანაგ მ. ს. სოლომენცევის მოხსენება ვ. ი. ლენინის დაბადების 108-ე წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე მოსკოვში

ამხანაგებო! ჩვენს ქვეყანაში დამკვიდრებული შესანიშნავი ტრადიციისამებრ, საბჭოთა ადამიანები ყოველ წელიწადს ზეიმით აღნიშნავენ ვლადიმერ ილიას ძე ლენინის — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ქვეყნად პირველი სოციალისტური სახელმწიფოს შემქმნელის, პროლეტარული რევოლუციის სწორუპოვარი სტრატეგისა და ტაქტიკოსის, ახალი სამყაროს უდიდესი ხუროთმოძღვრის დაბადების დღეს.

ლენინმა მთელი თავისი სიცოცხლის კაშკაშა ალით, კაპიტალის უღლისაგან შრომის განთავისუფლებისათვის მიძღვნილი სიცოცხლის ალით, თავისი შემოქმედებითი გენიით გაგვინათა მთელი კაცობრიობის უმთავრესი პრობლემების გადაჭრის გზა. აი რატომ არის, რომ მისი დაბადების ახლანდელ, 108-ე წლისთავსაც საკუთარ დღესასწაულად აღნიშნავენ სოციალიზმის ქვეყნების ხალხები, საერთაშორისო მუშათა კლასი, ყველა პროგრესული ადამიანი.

ლენინის შემოქმედებაში ორგანულად ერწყმის ერთმანეთს მარქს-ენგელსის მოძღვრების ფუძემდებელი პრინციპების ურყევი ერთგულება და ნოვატორული გამბედაობა მეცნიერებისა და რევოლუციური პრაქტიკის ურთულეს საკითხთა შემუშავებაში. მან ღრმად და ყოველმხრივ განავითარა და გაამდიდრა მუშათა კლასის დიად წინამძღვართა იდეური მემკვიდრეობა, მიუსადაგა იგი ახალ ისტორიულ პირობებს. ლენინიზმი — ეს არის თანამედროვე ეპოქის მარქსიზმი, შემოქმედებითი თეორია, რომელიც განუწყვეტლივ ვითარდება, რევოლუციური ბრძოლისა და კომუნისტური მშენებლობის ნამდვილი მეცნიერება!

ლენინმა უდიდესი მეცნიერული აღმოჩენა გააკეთა, როცა იწინასწარმეტყველა, რომ იმპერიალიზმი ძველი ექსპლოატატორული საზოგადოების მარტო უმაღლესი კი არა, უკანასკნელი სტადიაც არის. და მან პრაქტიკულად დაამტკიცა ეს, როცა სათავეში ჩაუდგა დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას, რომელმაც დასაბამი მისცა ახალ, კომუნისტურ ფორმაციას. მის სახელთან განუყრელად არის დაკავშირებული მარქსისტული თეორიის გადაქცევა ძველი სამყაროს პრაქტიკული რევოლუციური გარდაქმნის იარაღად, სამყაროსი, რომელშიც მშრომელთა ექსპლოატაცია, გაჭირვება და უუფლებობა საზოგადოებრივი ცხოვრების მთელი წყობის განუყოფელი ნიშან-თვისებაა.

ახალი ტიპის პროლეტარული პარტიის დამაარსებელი, რევოლუციის უდიდესი თეორეტიკოსი და პრაქტიკოსი ზედმიწევნით იყო დაუფლებული ახალი საზოგადოების აღმშენებლობის მეცნიერებასა და ხელოვნებას.

(ბაბრძელება მე-2 გვ.).

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება

მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის 1978 წლის ლენინური პრემიების მინიჭების შესახებ

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, რომლებმაც განიხილეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის წარდგენება, დაადგინეს 1978 წლის ლენინური პრემიები მიენიჭოთ:

1. **ლეტოსოვს** ვლადილენ სტეფანეს ძეს, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სპეკტროსკოპიის ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგეს, **ჩეზო

ლენინიზმი—რევოლუციური ბრძოლისა და კომუნისტური აღმშენებლობის მეცნიერება

(გაგრძელება).

კომუნისტური მშენებლობის პროცესში მთელი სისრულით ვლინდება ლენინიზმის უმთავრესი არსი — მისი რევოლუციურ-გარდამქმნელი, აღმშენებლობითი არსება, ჰუმანიზმი, მისი მისწრაფება სოციალური ურთიერთობის თვისებრივად ახალი სისტემის შექმნისადმი, რომლის უდიდესი განძია მშრომელი კაცი, რომლის უმაღლესი მიზანია პიროვნების თავისუფალი და ყოველმხრივი განვითარება. სწორედ ეს არის ლენინიზმის უძლეველი მიმზიდველი ძალის წყარო. წლითიწლობით ლენინის იდეები სულ უფრო ღრმად იდგამს ფესვს ყველა კონტინენტის მილიონობით ადამიანის შეგნებაში, სულ უფრო რელიეფურად, სულ უფრო მკაფიოდ მოჩანს მისი გმირული ცხოვრების აზრი და მნიშვნელობა, ლენინის — ბელადისა და ადამიანის სიდიადე.

„ლენინის გარდაცვალებიდან განვლილი დროის მანძილზე, — აღნიშნავდა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი, — ცხოვრება ძალიან წინ წავიდა, ბევრი რამ შეიცვალა, წარმოიშვა უამრავი ახალი მოვლენა და პრობლემა, რომელთა შესახებ იმ დროს ფიქრიც კი ძნელი იყო. მაგრამ სოციალიზმის განვითარების კანონზომიერებანი, რომლებიც ლენინმა აღმოაჩინა, დღესაც გვაძლევენ გასაღებს მათი გაგებისა და გადაწყვეტისათვის. აი რატომ არის, რომ ლენინი დღესაც ჩვენი საქმეების ცოცხალი მონაწილე, ჩვენი საიმედო და ბრძენი მასწავლებელია“.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია მტკიცედ მიუძღვის ქვეყანას ლენინური გზით. ამას დამაჯერებლად მოწმობს საბჭოთა ხალხის სამოცი წლის გარჯისა და გმირული ბრძოლის დიადი შედეგები, რომლებმაც კონცენტრირებული გამოხატულება ჰპოვა სსრ კავშირის ახალ კონსტიტუციაში. საბჭოთა ადამიანები ერთსულოვნად უჭერენ მხარს თავიანთ ლენინურ პარტიას, მის მებრძოლ შტაბს — ცენტრალურ კომიტეტს, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, რომელსაც სათავეში უდგას გამოჩენილი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, ერთგული მარქსისტ-ლენინელი ამხანაგი ბრეჟნევი.

ეკონომიკა დიდი ლენინის ანდერძის ხორცშესხმისათვის ბრძოლის გადამწყვეტი შბანია

ამხანაგებო! ლენინის უდიდესი ისტორიული დამსახურება ის არის, რომ მან შეაიარაღა პარტია, მუშათა კლასი, ყველა მშრომელი სოციალისტური და კომუნისტური მშენებლობის მეცნიერული გეგმით.

ლენინური გეგმის საფუძველია სოციალისტური ეკონომიკის შექმნა-განვითარება. ლენინს ეს ყველაზე ძნელ და კეთილშობილურ ამოცანად მიაჩნდა, „ვინაიდან საქმე შეეხება ათეულ და ათეულ მილიონობით ადამიანთა ცხოვრების ყველაზე ღრმა, ეკონომიკურ, საფუძველთა ახლებურად მოწყობას“ (თხზულებათა კრებული, ტ. 27, გვ. 284). მხოლოდ მისი გადაწყვეტის შემდეგ, აღნიშნავდა იგი, შეგვეძლება ვთქვათ, რომ ჩვენი ქვეყანა გახდა არა მარტო საბჭოთა, არამედ სოციალისტურიც.

საბჭოთა ხალხმა, რომელმაც პარტიის ხელმძღვანელობით გამოიარა ბრძოლისა და გამარჯვებების სახელოვანი გზა, გადაწყვიტა ეს ამოცანა. მან უკვე გადალახა კომუნიზმის გზის უმნიშვნელოვანესი ისტორიული მიჯნა — აშენებულია განვითარებული სოციალისტური საზოგადოება. ამ საზოგადოების მტკიცე საფუძველია ცხოვრებით შემოწმებული სსრ კავშირის ეკონომიკური სისტემა. იგი ეყრდნობა მძლავრ საწარმოო ძალებს, წარმოების საშუალებათა სოციალისტურ საკუთრებას, ექსპლოატაციისაგან თავისუფალ მუშათა, გლეხთა, ინტელიგენციის შრომას. მისთვის დამახასიათებელია სახალხო მეურნეობის ზრდის სტაბილური ტემპი, განვითარების ინტენსიური მეთოდების სულ უფრო სრული გამოყენება, მეცნიერებისა და წარმოების მტკიცე კავშირი, რომლებიც საზოგადოების ყველა წევრის ინტერესების შესაბამისი საერთო გეგმით ვითარდება.

თანამედროვე პირობებში ახალი საზოგადოების მშენებლობის ლენინური გეგმის განვითარებას უდიდესი შემოქმედებითი წვლილი შეიტანეს სკკპ XXIV და XXV ყრილობების გადაწყვეტილებებმა, ამ ყრილობებზე შემუშავებულმა პარტიის ეკონომიკურმა სტრატეგიამ, განვითარებული სოციალიზმის სტრატეგიამ. მას ახასიათებს ღრმა რეალიზმი, ქვეყნის მიმდინარე საჭიროებებისა და მოთხოვნილებების საღი გათვალისწინება და ამავე დროს მომავლის ლენინისებრ გაბედული, პერსპექტიული განჭვრეტა, ჩვენი ძირეული, საპროგრამო სოციალურ-ეკონომიკური მიზნების მიღწევის გზებისა და საშუალებების მეცნიერული განსაზღვრა.

პარტიამ ყოველმხრივ დაასაბუთა ის დასკვნა, რომ ქვეყნის ეკონომიკური ძლიერების, ხალხის კეთილდღეობის შემდგომი განუხრელი ზრდის მთავარი მიმართულებაა წარმოების ეფექტიანობის მკვეთრი ამაღლება, მუშაობის ხარისხის ყოველმხრივი გაუმჯობესება.

ეკონომიკის ზრდის თვისებრივი ფაქტორების როლის გაძლიერებაზე ორიენტაცია — სწორედ ეს არის ხორცშესხმული ლენინური იდეები მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევათა, მსხვილი სოციალისტური მეურნეობის უპირატესობათა, შრომის ორგანიზაციის მოწინავე გამოცდილების მაქსიმალურ გამოყენებაზე დაფუძნებული ინტენსიური წარმოების შესახებ.

სკკპ XXV ყრილობის შემდეგ მნიშვნელოვანი პროგრესია მიღწეული სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. მეათე ხუთწლედის ორი წლის მანძილზე სამრეწველო წარმოების მოცულობა თითქმის 11 პროცენტით გაიზარდა, სოფლის მეურნეობის საშუალო წლიური პროდუქცია გადიდდა 7 პროცენტით. ეროვნული შემოსავალი გაიზარდა 9 პროცენტით, ანუ 32,5 მილიარდი მანეთით. მარტო ეს მატება უდრის მთელ ეროვნულ შემოსავალს, რომელიც 1940 წელს შეიქმნა.

წარმატებით სრულდება ხუთწლედის სოციალური პროგრამა. როგორც გათვალისწინებული იყო, გაიზარდა მუშა-მოსამსახურეთა ხელფასი, კოლმეურნეთა შემოსავალი. მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან გაცემული გადასახდელები და შეღავათები დღეს 100 მილიარდ მანეთს აღწევს, რაც 2,4-ჯერ მეტია 1965 წელთან შედარებით. ხუთწლედის დამდეგიდან ქვეყანაში ახალმოსახლეობა გადაიხადა 23 მილიონმა კაცმა. აშენდა ბევრი სკოლა, საავადმყოფო, საბავშვო დაწესებულება, კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტი. ყოველივე ეს ცხადად დასტურებს იმ ლენინური იდეის სამართლიანობას, რომ მხოლოდ სოციალიზმის დროს ხდება შესაძლებელი დაექვემდებაროს საწარმოო ძალების განვითარება მშრომელთა მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების სულ უფრო სრულ დაკმაყოფილებას.

სოციალური პროგრამის განხორციელება მჭიდროდ არის დაკავშირებული სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გაფართოებასთან. ამ საქმეში საგრძნობი წარმატებებია მიღწეული: გამოდის სულ უფრო მეტი საქონელი, სულ უფრო მრავალფეროვანი ასორტიმენტისა და მაღალი ხარისხის პროდუქცია. მაგრამ, როგორც ცნობილია, ადამიანთა კეთილდღეობის ზრდასთან ერთად იზრდება მათი მოთხოვნილებაც. ამიტომ იღვწის პარტია იმისათვის, რომ კიდევ უფრო გაიზარდოს მოსახლეობისათვის განკუთვნილი მაღალხარისხოვანი საქონლის წარმოება, გაუმჯობესდეს მშრომელთა მომსახურების ყველა ფორმა. რა თქმა უნდა, იგი ნიადაგ ზრუნავს იმისათვისაც, რომ საბჭოთა ადამიანების ცხოვრების მატერიალური დონის განუხრელი ამაღლება ორგანულად ერწყმოდეს მათს ყოველმხრივ კულტურულ, სულიერ ზრდას, საზოგადოების ყოველი წევრისათვის მაღალი პოლიტიკური და იდეურ-ზნეობრივი თვისებების გამომუშავებას.

პარტიის XXV ყრილობის მიერ დასახული ამოცანების განსახორციელებლად ხალხის დარაზმვის საქმეში დიდი ნიშანსვეტი გახდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის დეკემბრის პლენუმი. პლენუმმა აღნიშნა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში მიღწეული წარმატებები და ამასთანავე პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების ყურადღება მიაპყრო ჯერ კიდევ გადაუჭრელ პრობლემებს, აღმოსაფხვრელ ნაკლოვანებებს, წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის შემდგომ ამაღლებას.

ჩვენი ეკონომიკის გიგანტური მასშტაბი, მისი განუხრელი აღმავლობა მანქანა-მოწყობილობის, ნედლეულისა და მასალის, შრომითი რესურსების სულ უფრო სრულ და რაციონალურ გამოყენებას მოითხოვს. ყველაფერი, რაც თავდადებული გარჯით შეუქმნია საბჭოთა ხალხს, რაშიც ხორცშესხმულია მისი ნიჭი, მისი გამოცდილება, რაც შეიძლება უკეთ უნდა ემსახურებოდეს კომუნიზმის საქმეს. ეს არის პლენუმის გადაწყვეტილებათა დედააზრი. ისინი კონკრეტული ხორცშესხმაა ლენინის ანდერძისა — ვიმუშაოთ მარჯვედ, გერგილიანად, კეთილსინდისიერად აღვრიცხოთ თითოეული კაპიკი, დავზოგოთ დიდსა თუ მცირეში, მუდამ ვიცქიროთ წინ, მეცნიერებისა და ტექნიკის პროგრესისაკენ.

ამ პოზიციებიდან უდგება პარტია მთელი სახალხო მეურნეობის, მისი ყოველი რგოლის შემდგომ განვითარებას. პარტია ნიადაგ ზრუნავს მრეწველობის, მისი საბაზო დარგების — ლითონის, სათბობის, ენერგიის, მანქანების, ქიმიური პროდუქტების წარმოების ზრდისათვის და ამასთანავე აყენებს ამოცანას მნიშვნელოვნად ავამაღლოთ პროდუქციის გამოშვების ტექნიკური დონე, ხარისხი, უკეთ გამოვიყენოთ საწარმოო სიმძლავრენი.

ჩვენი მრეწველობა დღეს ყველა ძირითადი სახეობის ბუნებრივი ნედლეულით არის უზრუნველყოფილი. მაგრამ მის მარაგს უნდა გავუფრთხილდით. ბუნების საკუთრაა უძირო ჭა კი არ არის. ანგარიშგასაწევია ისიც, რომ სანედლეულო დარგების გადახაცვლება ახლ. ძნელად მისადგომ და ნაკლებად დასახლებულ რაიონებში მათი ათვისების დანახარჯების მნიშვნელოვან ზრდას იწვევს. ამიტომ არის აუცილებელი ვიღვაწოთ იმისათვის, რომ იზრდებოდეს საბოლოო პროდუქციის გამოსავლიანობა ნედლეულის ერთეულზე, რომ ყოველი ტონა სათბობი თუ მადანი, თითოეული კუბური მეტრი საშენი მასალა თუ მერქანი გამოიყენებოდის სრულად და კომპლექსურად, რომ უფრო აქტიურად წარმოებდეს მუშაობა ახალ სახეობათა მასალების შექმნისა და წარმოებაში დანერგვისათვის.

სულ უფრო აქტუალური ხდება ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლების პრობლემა სოფლის მეურნეობაში. პარტიამ დასახა ამოცანა მკვეთრად გაიზარდოს მაღალხარისხოვანი სასურსათო პროდუქტების და სამრეწველო ნედლეულის წარმოება, განსაზღვრა მისი გადაწყვეტის გზები.

ახორციელებენ რა პარტიის აგრარულ პოლიტიკას, სოფლის მეურნეობის მშრომელები აქტიურად იბრძვიან მიწების ნაყოფიერებისა და მიწათმოქმედების კულტურის ამაღლებისათვის, იმისათვის, რომ უფრო სრულად და რაციონალურად იყენებდნენ მიწის სავარგულებს, ტექნიკას, მინერალურ და ორგანულ სასუქებს, განავითარონ სელექცია და მეთესლეობა, განახორციელონ ფართო მელიორაცია, მიიღონ უხვი სტაბილური მოსავალი. დღეს განსაკუთრებულ როლს ასრულებს იმ დარგების დაჩქარებული განვითარება, რომლებიც უზრუნველყოფენ სოფლის მეურნეობის პროდუქტების დროულ აღებას, ტრანსპორტირებასა და გადამუშავებას. მთელი მოწეული მოსავალი მომხმარებლამდე უნდა აღწევდეს.

მეცხოველეობაში უმთავრესი მუშაობა წარმოებს მისი პროდუქტიულობის ამაღლებისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნის, დარგის ინდუსტრიულ საფუძველზე გადაყვანის გზით. უკანასკნელ წლებში ამ მხრივ ბევრი რამ გაკეთდა. ამასთანავე კიდევ დიდი სამუშაოა შესასრულებელი, რათა დავძლიოთ სიძნელენი, რომლებიც გვაქვს მოსახლეობის უზრუნველყოფაში მეცხოველეობის პროდუქტებით, უწინარეს ყოვლისა — ხორცით, უფრო სრულად დავაკმაყოფილოთ მზარდი მოთხოვნილება ამ პროდუქტებზე.

სოფლის მეურნეობის ეკონომიკის მაღალგანვითარებულ სექტორად გადაქცევის ამოცანას წარმატებით გადაწყვეტას აქტიურად უწყობს ხელს პარტიის კურსი, რომლის მიზანია გააღრმაოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაცია და კონცენტრაცია სამეურნეო-ბათშორისო კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე.

ჩვენი ეკონომიკის ზრდა შესაძლებლობას გვაძლევს დღეს უფრო მჭიდროდ დავუკავშიროთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარება ღრმა გარდაქმნების გახორციელებას შრომის ხასიათში მისი კომპლექსური მექანიზაციის საფუძველზე, სოფლად ცხოვრების კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას. პარტია მთავარ მნიშვნელობას ანიჭებს ამ დიდი სოციალური პრობლემების გადაჭრას.

ჩვენს დროში არსებითად იცვლება ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო რაიონების სახე. გმირული ყამირის ეპოპეის, დიდმნიშვნელოვანი პროდუქტების, მაგალითად, ბამბისა და ბრინჯის გარანტირებული წარმოების ვრცელი ზონების შექმნის შემდეგ პარტიამ შეიმუშავა და ახორციელებს სხვა მასშტაბურ რეგიონულ პროექტებს. დღეს ფართო გარდამქმნელმა საქმიანობამ მოიცვა რუსეთის ფედერაციის არაშავმიწანიადგიანი ზონა, რომლის აღმავლობაც, როგორც ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა თქვა, დიდი საერთო-სახელმწიფოებრივი ამოცანაა.

წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის არსებითად უნდა გავაუმჯობესოთ ვითარება კაპიტალურ მშენებლობაში. აქ, აღნიშნა დეკემბრის პლენუმმა, საქმიანობის ფართო ასპარეზია. იგი შეიცავს კაპიტალდაბანდებათა სწორ განაწილებას, მთავარ მიმართულებებზე მათ კონცენტრაციას, ყველა ობიექტის დროულ ამოქმედებას, დაპროექტებას, მშენებლობებზე შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებას, იმას, რომ რაც პროექტებით არის გათვალისწინებული, გარკვეული დროის განმავლობაში ხორცი შეესხას რეალური მანქანებით, მოწყობილობით, ქარხნებისა და ფაბრიკების ახალი კორპუსებით. და საჭიროა, რომ საპროექტო გადაწყვეტაში ასახავდნენ შეცნიერებისა და ტექნიკის უკანასკნელ მიღწევებს, რომ საგეგმო, საძეურნეო ორგანოების მუშაკები, ყველანი, ვისზედაც დამოკიდებულია საქმის წარმატება, ითვალისწინებდნენ წარმოების არა მარტო დღევანდელ, არამედ უწინარეს ყოვლისა ხვალინდელ დღესაც.

პასუხსაგები ამოცანები დაუსახა პარტიამ ტრანსპორტის მუშაკებს. მათ უნდა უზრუნველყონ ქვეყნის მთელი სატრანსპორტო სისტემის რიტმული მუშაობა, გააუმჯობესონ სატრანსპორტო საშუალებების გამოყენება, აღმოფხვრან ცარიელი გარბენები და არარაციონალური ტვირთზიდვა.

ჩვენი გეგმების რეალიზაციაში უპირველეს როლს ასრულებს შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდა, რაც ლენინს კომუნიზმის გამარჯვების გადამწყვეტ პირობად მიაჩნდა. ამის მთავარი გზაა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტემპის დაჩქარება. სახალხო მეურნეობაში მეცნიერების—უშუალო საწარმოო ძალის—მიღწევების სულ უფრო სრული გამოყენება. მეცნიერების გარეშე დღეს წინ ვერ წავალთ საზოგადოებრივი ცხოვრების ვერც ერთ დარგში. უმიზოდ ვერ გადავწყვეტთ მთავარ სახალხო-სამეურნეო პრობლემებს. პარტია ყოველნაირად უწყობს ხელს საბჭოთა მეცნიერების პროგრესს. იგი მეცნიერთა მეცადინეობას წარმართავს, უფუნდამენტური და გამოყენებითი მეცნიერებების შეჯ-ფოგმი განვითარებისათვის. წარმოებაში მათი შედეგების სწრაფი დანერგვისათვის.

სულ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება საწარმოო პროცესების. საამქროებისა და საწარმოების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის კომპლექსურ განხორციელებას. ახალი ტიპის მანქანებისა და მოწყობილობის შემუშავებას. ათვისებას და გამოშვებას. რომლებიც თვისებრივად ცვლიან ადამიანის შრომას. უზრუნველყოფენ მანქანური შრომით ხელის შრომის სულ უფრო სრულ შეცვლას.

ლენინი აღნიშნავდა, რომ სოციალიზმის წარმატება წარმოუდგენელია, თუ არ გაიმარჯვა პროლეტარულმა, შეგნებულმა დისციპლინამ. ეს დებულება დღესაც აქტუალურია. წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესება, შრომის ტექნოლოგიური და საგეგმო დისციპლინის განმტკიცება, მოცდენების, გაცდენებისა და სამუშაო დროის სხვა დანაკარგების ლიკვიდაციისათვის ბრძოლა ჩვენი წინსვლის აუცილებელი პირობაა.

ყველა ჩვენგანს კარგად ესმის, რომ მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლება უბრალო საქმე არ არის. იგი მოითხოვს, რომ მეცნიერებმა და ინჟინრებმა, კონსტრუქტორებმა და ტექნოლოგებმა, ჰუშებმა და კოლმეურნეებმა გააერთიანონ მეცადინეობა, ფართოდ გამოიყენონ მეურნეობრიობის ყველაზე მოწინავე მეთოდები. შემოქმედებითად მიუდგნენ წარმოებას, ყველა ბისი რეზერვის გამოყენებას. ამ ამოცანის შესრულებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მართვის ორგანიზაციის შემდგომ სრულყოფას, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში გაერთიანებათა შექმნას, წარმოების დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების გაუმჯობესებას.

ლენინი ოცნებობდა ერთ სამეურნეო ორგანიზმად ქვეყნის ეკონომიკის გადაქცევაზე. ეს ოცნება სინამდვილედ იქცა. შეიქმნა და წარმატებით ვითარდება ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსი. პარტია იღვწის, რომ სულ უფრო მჭიდროდ იყოს ერთმანეთთან დაკავშირებული საზოგადოებრივი წარმოების, განაწილებისა და გაცვლის ყველა რგოლი. როგორც დარგობრივი. ისე ტერიტორიული თვალსაზრისით, ორგანულად შეესაბამებოდეს ცენტრალიზებული ხელმძღვანელობა ინიციატივას ადგილებზე.

თანამიმდევრულად ხორციელდება პარტიის მითითებები საწარმოო ძალების განლაგების გაუმჯობესების შესახებ, ფართოვდება თითოეული რესპუბლიკის, ქვეყნის თითოეული რაიონის ურთიერთდაკავშირებული და ჰარმონიული განვითარების, მთელი საზოგადოების ინტერესებისათვის მათი ბუნებრივი სიმდიდრის ეფექტიანი გამოყენების, აღმოსავლეთი რაიონების ეკონომიკური პოტენციალის გამრავლების შესაძლებლობანი. ეს შესაძლებლობანი სულ უფრო სრულად ხორციელდება იმის მეოხებით, რომ შეიქმნა მსხვილი რეგიონალური კომპლექსები და სამრეწველო კვანძები. მაგალითად, დასავლეთ-ციმბირის, საიანის, პავლოდარ-ეკიბასტუზის, ყარათაუ-ჯამბულის, სამხრეთ ტაჯიკეთისა და სხვები. ამით ვაღწევთ საწარმოო პროცესების დამთავრებულობას, საზოგადოებრივი შრომის ეკონომიას, იქმნება კადრების შენარჩუნების, მშრომელთა ყოფა-ცხოვრებისა და დასვენების უკეთესი ორგანიზაციის, გარემოს დაცვის პირობები.

ამ გრანდიოზული გეგმების განხორციელება მჭიდროდ არის დაკავშირებული საბჭოთა ახალგაზრდების—ქვეყნის მომავლის, ყველა ჩვენი მიღწევის აქტიური მონაწილის თავდადებულ შრომასთან. ახალგაზრდობა, რომელიც ახალი წარმატებებით ხვდება კომკავშირის XVIII ყრილობას, კონკრეტული საქმეებით ავლენს თავის მისწრაფებას იცხოვროს, ისწავლოს და იმუშაოს ლენინურად, კომუნისტურად.

სკკპ XXV ყრილობის მიერ დასახული ამოცანების რეალიზაციაში დიადი ძალაა სოციალისტური შეჯიბრება. ყოველნაირად ხელს უჭერს რა ამ მასობრივ მოძრაობას, პარტია ასრულებს ლენინის ანდერძს, რომ გამოვიყენოთ იგი „ორგანიზებულობის, დისციპლინის, შრომის ნაყოფიერების განუწყვეტლივ ასამაღლებლად, უმაღლეს ტექნიკაზე გადასასვლელად, შრომისა და პროდუქტების მომჭირნეობისათვის“. (თხზ. ტ. 27, გვ. 172). მოწინავე გამოცდილება გავხადოთ მასების კუთვნილება, ვიხმაროთ ზუსტად და შეწყობილად, ჩამორჩენილების გარეშე, ადამიანთა ენერგია წარმართოთ შრომის მეთოდების სრულყოფისათვის — ნიშნავს საქმით დავეუფლოთ სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის ლენინურ ხელოვნებას.

პარტიის იმ მოწოდების პასუხად, რომ 1978 წელი გადავაქციოთ დამკვრელური შრომის წლად, საბჭოთა ადამიანები ამრავლებენ მეცადინეობას ხუთწლედის გეგმების შესრულებაში. მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, ქვეყნის სხვა ქალაქების მოწინავე საწარმოების მშრომელთა თაოსნობით გაიშალა საყოველთაო-სახალხო ბრძოლა ხარისხისათვის, უმცირესი დანახარჯებით უმაღლესი შედეგების მიღწევისათვის. ამას დამაჯერებლად მოწმობს მიმდინარე წლის პირველი კვარტალის შედეგები. სამრეწველო წარმოების მოცულობა გასული წლის იმავე პერიოდთან შედარებით გაიზარდა 5,5 პროცენტით. გეგმის გადაჭარბებით გამოშვებულია 1,7 მილიარდი მანეთის პროდუქცია. გადაჭარბებით შესრულდა შრომის ნაყოფიერების ზრდის დავალება მრეწველობაში. უკეთ სრულდება პროდუქციის ნომენკლატურის ასორტიმენტისა და ხარისხის, მომხმარებლებისათვის მისი დროული მიწოდების დავალებანი. ხუთწლედის მესამე წლის გეგმის რეალიზაციაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ სოფლის მშრომელებს. ამ დღეებში ისინი მაღალორგანიზებულად ასრულებენ საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოებს, კარგ საფუძველს უყრიან მომავალ მოსავალს.

1978 წლის გეგმისა და მთლიანად მეათე ხუთწლედის შესრულება უწინარეს ყოვლისა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ იმუშავებს თითოეული საბჭოთა ადამიანი, თითოეული შრომითი კოლექტივი. სწორედ იმ კოლექტივებში, სადაც კარგად არის ორგანიზებული შრომა. სადაც იგი ჭეშმარიტად შემოქმედების ხასიათს იძენს, სადაც მაღალი მომთხოვნელობა შეხამებულია ამხანაგურ დახმარებასთან და მხარდაჭერასთან. უზრუნველყოფილია წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლება, წარმატებით წყდება სოციალური განვითარებისა და კომუნისტური აღზრდის ამოცანები.

საბჭოთა ადამიანები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა ჩვენი ქვეყანა დღითიდღე სულ უფრო მდიდრდებოდეს და ლამაზდებოდეს. ამ აზრით მიდიან ისინი სრულიად საკავშირო კომუნისტურ შაბათობაზე, რომელიც დიდი ლენინის ანდერძისადმი მათი ერთგულების ნამდვილი მანიფესტაცია იქნება.

საბჭოთა სახელმწიფომ თავისი მეშვიდე ათწლეული დაიწყო იმ პირობებში, როცა მოეპოვება უდიდესი საწარმოო და მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალი, მაღალკვალიფიციური კადრები, მეურნეობის გეგმიანი ხელმძღვანელობის უმდიდრესი გამოცდილება. ეს არის ჩვენი ეკონომიკის, მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების შემდგომი პროგრესის საიმედო საფუძველი. ეჭვი არ არის, რომ ლენინის იდეებით შთაგონებული საბჭოთა ადამიანები განახორციელებენ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის დიდებულ ამოცანებს!

პარტიისა და ხალხის ერთიანობა ჩვენი გამარჯვების წყაროა

ამხანაგებო! რევოლუციით შობილი ახალი წყობილების ცხოვრელმყოფელობის წყაროდ ლენინს მიაჩნდა მუშათა კლასის, ყველა მშრომელის მაღალი შრომითი აქტივობა. „მასების ცოცხალი შემოქმედება, — წერდა იგი, — აი ახალი საზოგადოებრიობის ძირითადი ფაქტორი“ (თხზ. ტ. 26, გვ. 334).

საბჭოთა ქვეყანაში თავიანთი ცხოვრების შეგნებული მშენებლები გახდნენ ხალხის ფართო მასები, რომლებსაც კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობს. უმაგალითო ენერგიითა და ენთუზიაზმით მონაწილეობენ ისინი ყველა სახელმწიფოებრივ, სამეურნეო და საზოგადოებრივ საქმეში. ხალხის დიადი უფლება — იყოს თავისი ქვეყნის ნამდვილი ბატონ-პატრონი — ჩვენში უზრუნველყოფილია კანონის მთელი ძალით, მთელი მრავალფეროვნებით ისხამს ხორცს პრაქტიკულად.

უკვე პირველი საბჭოთა კონსტიტუცია — რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუცია, რომელიც შემუშავდა 60 წლის წინათ ლენინის ხელმძღვანელობითა და უშუალო მონაწილეობით, მტკიცედ დადგა ხალხის მასების ინტერესების სადარაჯოზე. მან ცხადყო, რომ საბჭოთა ხელისუფლება ეყრდნობა იმათ, ვინც შრომობს, იგი მათ აძლევს უფლებას მოაწყოს სახელმწიფოებრივი ცხოვრება.

ჩვენი ხალხის თავისუფალი, აღმშენებლობითი შრომის შედეგი გახდა განვითარებული სოციალისტური საზოგადოება. ეს ჭეშმარიტად მსოფლიო-ისტორიული მოვლენა საკანონმდებლო წესით დაამკვიდრა სსრ კავშირის ახალმა კონსტიტუციამ, რომელიც გამსჭვალულია სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებელთა რევოლუციური ნოვატორობის სულისკვეთებით. იგი განასახიერებს ჩვენს მრავალეროვან ქვეყანაში სოციალიზმის შექმნის, ქვეყნად პირველი საყოველთაო-სახალხო სახელმწიფოს მშენებლობის მთელ გამოცდილებას, სახელმწიფოსი, რომელიც ახალ პირობებში განაგრძობს პროლეტარიატის დიქტატურის დიად აღმშენებლობითს მისიას. საბჭოთა დემოკრატიის სრულყოფაში დიდმნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულონ მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების ახალმა კონსტიტუციებმა.

საბჭოთა ადამიანები უსაზღვროდ ერთგული არიან კომუნისტური პარტიის საქმისა, მხურვალედ იწონებენ მის პოლიტიკას. ისინი მჭიდროდ არიან შეკავშირებული ლენინური პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს გარშემო, რომელსაც სათავეში უდგას ამხანაგი ბრეჟნევი. ჩვენი საშინაო და საგარეო პოლიტიკის მიღწევები, საბჭოთა სახელმწიფოს საერთაშორისო პოზიციების განმტკიცება განუყოფელია ლეონიდ ილიას ძის მრავალმხრივი, შემოქმედებითი მოღვაწეობისაგან. ლეონიდ ილიას ძე, რომელიც დღენიადაგ არის დაკავშირებული მასებთან, კარგად იცნობს მათ ინტერესებს, განწყობილებასა და ფიქრებს, გვიჩვენებს ლენინის დიადი საქმისადმი თავდადებული სამსახურის მაგალითს. პარტიის ცენტრალური კომიტეტის საქმიანობაში ხელმძღვანელობის ნამდვილად ლენინური სტილის ნათელი გამოხატულება გახდა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის შეხვედრები მუშებთან, მშენებლებთან, საბჭოთა არმიის მეომრებთან, პარტიულ-სამეურნეო აქტივთან ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის რაიონებში მისი მოგზაურობის დროს. მშრომელი ადამიანების კეთილდღეობისათვის, ქვეყნად მშვიდობისათვის დაუცხრომელი, უაღრესად ნაყოფიერი მუშაობით ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა საბჭოთა ხალხის უდიდესი პატივისცემა და დიდი მადლიერება, საერთაშორისო კომუნისტურ და მუშათა მოძრაობაში, მთელი მსოფლიოს მშრომელთა შორის უდიდესი ავტორიტეტი მოიპოვა.

ამხანაგებო! წელს 75 წელი უსრულდება რსდმპ ყრილობას, რომელზეც დამთავრდა ლენინური პარტიის — ახალი ტიპის პირველი პროლეტარული პარტიის შექმნა. გმირული გზა, რომელიც მან მას შემდეგ განვლო, — ეს არის მუშათა კლასის, ყველა მშრომელის ინტერესებისათვის თავდადებული ბრძოლის გზა. საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას მაღლა უჭირავს ლენინის დროშა, წარმატებით ასხამს ხორცს კონკრეტულ საქმეებად მარქსიზმ-ლენინიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეებს. ჩვენი პარტიისათვის დამახასიათებელი თეორიისა და პრაქტიკის ორგანული შეხამება, მარქსისტულ-ლენინური მეცნიერების შემოქმედებითი განვითარების უნარი საშუალებას აძლევს მას ეფექტიანად გადაწყვიტოს მიმდინარე და პერსპექტიული ამოცანები, სულ უფრო სრულად გამოავლინოს და გამოიყენოს მომწიფებული სოციალიზმის შესაძლებლობანი და უპირატესობანი.

(დასასრული მე-3 გვ.).

ლენინიზმი — რევოლუციური ბრძოლისა და კომუნისტური აღმშენებლობის მეცნიერება

ეროვნული ბიბლიოთეკა

(დასასრული)

კომუნისტური პარტია — საბჭოთა ხალხის აქტიურად მოქმედი ავანგარდია, რომელიც ახლა აერთიანებს მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, სახალხო ინტელიგენციის 16 მილიონ 360 ათას საუკეთესო, ყველაზე შეგნებულ წარმომადგენელს. მთელ თავის მისწრაფებას, მთელ თავის შემოქმედებითს პოტენციალს პარტია ახმარს ხალხის კეთილდღეობას. მან ხალხს გულწრფელი ნდობა მოიხვეჭა. მაგრამ ეს ნდობა, როგორც ხაზგასმით აღნიშნავს ამხანაგი ბრეჟნევი, მომთხოვნელი ნდობაა. საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას მუდამ ახსოვს ეს. იგი დღენიადაგ ამაღლებს პარტიის წევრის წოდებასა და მნიშვნელობას, იღვწის, რომ თითოეული კომუნისტი იყოს ნამდვილი პოლიტიკური მებრძოლი-ლენინელი, მაღალი იდეურობის, პასუხისმგებლობის, დისციპლინიანობისა და ორგანიზებულობის მაგალითი, ჩვენს ცხოვრებაში ნერგავდეს პრაქტიკული კომუნისტური მშენებლობით შობილ ყოველივე საუკეთესოს, ყოველივე მოწინავეს, თავისი ინიციატივის ცეცხლით აღანთებდეს ყველა მშრომელს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია დღენიადაგ სრულყოფს შინაპარტიული ურთიერთობის სისტემას პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმების, დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპის საფუძველზე. გახუხრელად ხორციელდება ხელმძღვანელობის კოლექტიურობა, ყოველსაბარად ეწყობა ხელი ერთსულოვანი მუშაობის, ნამდვილად დემოკრატიულ საფუძველზე ყველა პრინციპული საკითხის განხილვის ვითარებას. სრულდება სკკპ XXV ყრილობის მითითება მუშაობის სტილის, ფორმებისა და მეთოდების შემდგომი სრულყოფის, კრიტიკისა და თვითკრიტიკის განვითარების, შესრულების კონტროლისა და შემოწმების გაძლიერების შესახებ.

პარტია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს საზოგადოებრივი ცხოვრების გადამწყვეტი სფეროს — ეკონომიკის ხელმძღვანელობის დონის ამაღლებას. მატერიალურ წარმოებაში, როგორც ცნობილია, დასაქმებულია ყველა კომუნისტის თითქმის სამი მეოთხედი! და პარტია იღვწის მათი რაციონალური განაწილებისათვის, ამაღლებს მოთხოვნებს ხელმძღვანელი პარტიული და სახელმწიფო კადრებისადმი, სპეციალისტებისადმი, წარმოების ყველა მუშაკისადმი საგეგმო დავალებებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულების საქმეში.

ამასთან დაკავშირებით დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებათ პირველადს ორგანიზაციებს. სკკპ XXV ყრილობის მითითებათა საფუძველზე დეკემბრის პლენუმმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის სამძიმის ცენტრი უნდა იყოს პირველადს ორგანიზაციებში, შრომითს კოლექტივებში, იქ, სადაც, საბოლოო ანგარიშით, ჩვენი გეგმების ბედი წყდება.

პარტიის როლის შემდგომი ზრდა, პარტიისა და ხალხის განუხრელად მზარდი ერთიანობა მკაფიო გამოხატულებას პოულობს საბჭოთა-პოლიტიკურ სისტემაში. კომუნისტური პარტია მისი ბირთვია და თავისი იდეოლოგიით, პოლიტიკით, რიგების მონოლითურობით, მთელი მრავალმხრივი ორგანიზატორული საქმიანობით პოლიტიკურ სისტემას ერთ მთლიან ორგანიზმად აქცევს, ანიჭებს მას მაღალ მიზანსწრაფვას, სიმტკიცესა და დინამიზმს.

საბჭოთა პოლიტიკურმა სისტემამ, რომლის საფუძვლები შეიქმნა ლენინის ხელმძღვანელობით, ღირსეულად გაუძლო ყველა გამოცდას, დაადასტურა თავისი უშრეტი ძალა. პარტია, რომელიც დღენიადაგ მდიდრდება მასების გამოცდილებით, განუწყვეტლივ ვითარდება, განასახიერებდა და განასახიერებს ნამდვილ სახალხო ხელისუფლებას!

ახლა ქვეყანაში გაჩაღდა დიდი მუშაობა ახალი კონსტიტუციის დებულებათა განხორციელებისათვის. მაღლდება საბჭოების — ხალხის ხელისუფლების სრულუფლებიანი ორგანოების როლი. ისინი მინიჭებული ფართო უფლებების შესაბამისად სულ უფრო აქტიურად უწევენ კონტროლს და ხელმძღვანელობენ სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის სულ სხვადასხვა უბანს.

საბჭოთა სახელმწიფო თანამიმდევრულად გამოხატავს და საიმედოდ იცავს მთელი ხალხის ინტერესებს. მისი მართვა ნამდვილად, ქვემოდან ზემოთ ხორციელდება მშრომელთა ყველაზე ფართო და ყოველდღიური მონაწილეობით, სწორედ ეს არის სოციალისტური დემოკრატიის არსი, ძირეული პრინციპი. მისი შემდგომი გაღრმავება პარტიას მიაჩნია ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური პროგრესის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მამოძრავებელ ძალად, ეფექტიან ინსტრუმენტად, რომელიც შესაძლებლობას გვაძლევს გამოვავლინოთ და აღმოვფხვრათ არსებული ნაკლოვანებანი, სრულგყოთ ჩვენი ცხოვრების ყველა მხარე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია საბჭოების, პროფკავშირების, კომკავშირისა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივების ყურადღებასა და მეცადინეობას მუდამ მიაპყრობს იმას, რომ მათი საქმიანობა მაქსიმალურად უწყობდეს ხელს მასების შეგნებული შემოქმედების გამოვლინებას. მილიონთა აქტივობა და ინიციატივა სოციალისტური დემოკრატიზმის, ლენინური იდეების დიადი გარდამქმნელი ძალის მკაფიო გამოხატულებაა!

ამხანაგებო, ლენინის ანდერძის ერთგული ჩვენი პარტია იმით ხელმძღვანელობს, რომ ახალი, ყოველმხრივ მომზადებული და ყოველმხრივ განვითარებული ადამიანის ჩამოყალიბება კომუნისტური მშენებლობის საჭირო პირობა და ამასთან უმნიშვნელოვანესი მიზანია.

სოციალიზმი განთავისუფლებული შრომის საზოგადოებაა. სწორედ აქ პირველად ისტორიაში იქმნება ისეთი პირობები, რომლებშიც მუშა კაცს შეუძლია, როგორც ლენინი ამბობდა, „გასწორდეს, თავი იგრძნოს ადამიანად“ (იხ. ტ. 26, გვ. 472) და ჩვენს თითოეულ წინგადადგმულ ნაბიჯთან ერთად სულ უფრო ფართოდ და ღრმად ვლინდება საზოგადოებრივი ცხოვრების სოციალისტური წყობილების ნამდვილად ჰუმანური არსი.

ლენინი დარწმუნებული იყო, რომ საზოგადოების გარდაქმნა კოლექტივისტურ, მის შემაკავშირებელ პრინციპებზე, შეცვლიდა ადამიანის სოციალურ, სულიერ სახეს, გაამდიდრებდა პიროვნების შინაგან სამყაროს, კიდევ უფრო სრულად გამოავლენდა მის შემოქმედებითს ძალებსა და უნარს.

პარტიას კარგად ესმის, რომ იდეურ-პოლიტიკური, შრომითი და ზნეობრივი აღზრდის საქმეში კიდევ ბევრი რთული პრობლემაა გადასაჭრელი, მაგრამ ის, რაც უკვე მიღწეულია ახალი ადამიანის ჩამოყალიბებაში, თვალსაჩინოდ მოწმობს: ლენინის წინასწარმეტყველება ხორცს ისხამს. საბჭოთა ადამიანი — მგზნებარე პატრიოტი და თანამიმდევრული ინტერნაციონალისტი, მაღალ პოლიტიკურ კულტურასა და საფუძვლიან ცოდნას დაუფლებული შეგნებული მშრომელი, ლენინის იდეებისა და საქმისათვის შეუდრეკელი მებრძოლი — პარტიას სამართლიანად მიაჩნია სოციალიზმის დიად მონაპოვრად.

მასებში თავის იდეურ-აღმზრდელობითსა და პროპაგანდისტულ მუშაობას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია მჭიდროდ უკავშირებს სამეურნეო საქმიანობას, სოციალისტური და კომუნისტური აღმშენებლობის პრაქტიკას. ამით ვლინდება აგრეთვე მისი ერთგულება დიდი ლენინის იდეებისადმი, რომელიც გვასწავლიდა, რომ მთელი პროპაგანდა აგებული უნდა იყოს ეკონომიკური მშენებლობის პოლიტიკურ გამოცდილებაზე და მისი უმთავრესი ამოცანა ის გახლავთ, რომ პრაქტიკულად გვიჩვენებს, როგორ უნდა ვაშენოთ ახალი საზოგადოება.

ახალი საზოგადოების განვითარების მთელი მსვლელობა არწმუნებს პლანეტის ხალხებს, რომ სოციალიზმი ერთადერთი სოციალური სისტემაა, რომელსაც შეუძლია სამართლიანად გადაწყვიტოს კარდინალური საზოგადოებრივი პრობლემები, რეალურად დაამკვიდროს სოციალური თანასწორობის პრინციპები, მსოფლიო ცივილიზაციის მწვერვალებზე აიყვანოს მშრომელი კაცი.

ჩვენი წყობილების უდიდესი მიღწევა იყო ახალი სოციალური და ინტერნაციონალური ერთობის — საბჭოთა ხალხის ფორმირება. იგი ჩვენი ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნების მუშათა, გლეხთა, ინტელიგენციის, მშრომელთა ურღვევი ერთიანობის განსახიერებაა. მუშათა კლასის განმსაზღვრელი გავლენით მიმდინარეობს ყველა კლასისა და სოციალური ჯგუფის განუხრელი დაახლოება, თანდათანობით ქრება არსებითი განსხვავებანი ქალაქსა და სოფელს, გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის, თვალნათლივ მოჩანს საზოგადოების უკლასო სტრუქტურის — ჩვენი დიადი საპროგრამო მიზნის ნიშნები.

ისტორიული განვითარების ტემპის დამაჩქარებელი უდიდესი მატერიალური და სულიერი ძალა გახდა სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა, რომელშიც აისახა სოციალისტური ერების ისტორიული ბედის, მათი ცხოვრების წესის, გამოცდილებისა და იდეალების განუყოფლობა. ყველა მოკავშირე რესპუბლიკის ეკონომიკური და კულტურული დონის გათანაბრებამ მრავალგზის გაზარდა საბჭოეთის ძლიერება.

ჩვენი დროის გრანდიოზული მშენებლობანი — დასავლეთ ციმბირის ნავთობისა და გაზის სარეწები, უკრაინის, ვოლგისპირეთის, შუა აზიის დიდი სამელიორაციო სისტემები, მძლავრი თანამედროვე ელექტროსადგურები და სამრეწველო საწარმოები, რომლებიც ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რაიონებში იქმნება, — ყოველივე ეს ჩვენი საშშობლოს ყველა ხალხის ძმური თანამეგობრობის თვალსაჩინო გამოვლინებაა, მათი საერთო-ეროვნული სიამაყის საგანია. იმ საერთო-საკავშირო პროგრამების განხორციელებისას, რომლებიც ვრცელ რაიონებს, მეურნეობის მთელ დარგებს გარდაქმნიან, ერთიანი კალაპოტით წარიმართება ყველა მოკავშირე რესპუბლიკის, ყველა ერისა და ეროვნების საქმიანობა. მტკიცდება მათი ურღვევი მეგობრობის და თანამშრომლობის მატერიალური ბაზა.

ეროვნული პოლიტიკის ლენინური პრინციპების თანამიმდევრულმა რეალიზაციამ აქტიურად შეუწყო ხელი შინაარსით სოციალისტური, ეროვნული ფორმებით მრავალფეროვანი საბჭოთა კულტურის აყვავებას. თვითონ ცხოვრებამ დასცინა იმათ, ვინც ცდილობდა საბჭოთა კავშირის ერთა და ეროვნებათა განვითარება და დაახლოება წარმოესახა როგორც რაღაც „ნიველირება“, ეროვნული თავისებურების ლიკვიდაცია. ზნეობრივი, კულტურული სიმდიდრენი, რომლებსაც თითოეული სოციალისტური ერი ქმნის, ძვირფასია ჩვენთვის თავიანთი განუმეორებელი თვისებებით. საზოგადოებრივი ცხოვრების ინტერნაციონალიზმის პროცესში ხდება ყველა ხალხის სულიერ ღირებულებათა ჰარმონიული შერწყმა და ურთიერთგამდიდრება, აღმოიფხვრება ვიწროეროვნული, ეგოისტური ცრურწმენები, იქმნება და მტკიცდება ახალი საერთო-საბჭოური ნიშნები და ტრადიციები. სწორედ ეს სულ უფრო ღრმად და სრულად ვლინდება საბჭოთა ხალხის შეხედულებებსა და ცხოვრების წესში.

საბჭოთა ხალხი მშრომელი და მებრძოლი ხალხია. მისთვის დამახასიათებელია ნამდვილი კოლექტივიზმი და ზნეობრივი სიმტკიცე. დაუშრეტელი შრომისმოყვარეობითა და შემოქმედებითი ენთუზიაზმით ასხამს იგი ხორცს პარტიის XXV ყრილობის ისტორიულ წინასწარდასახულობებს. იგი ჭეშმარიტად დიდი ხალხია, რომელიც თავისი საქმეებით დამაჯერებლად გვიმტკიცებს, რომ ოქტომბრის გმირთა, ლენინელ ბოლშევიკთა რევოლუციური სულისკვეთება ცოცხლობს და მტკიცდება კომუნიზმის მშენებელთა ახალი თაობების მიღწევებში!

მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლის ლენინური სტრატეგია

ამხანაგებო! დიდი და მრავალმხრივია ლენინიზმის ზემოქმედება კაცობრიობის ცხოვრებაზე, მსოფლიო რევოლუციურ პროცესზე. ხალხთა განმათავისუფლებელი ბრძოლის, სოციალიზმის მშენებლობის გზაზე გადადგმული ყოველი ახალი ნაბიჯი ცხადყოფს, რომ იზრდება ლენინური მოძღვრების გავლენა, ადასტურებს მის წარუვალ ღირებულებას.

ლენინური დებულებანი და დასკვნები შეუცვლელი ორიენტირია საერთაშორისო ასპარეზზე ჩვენი პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საქმიანობაში. მათი თანამიმდევრული გამოყენების შედეგად განსაკუთრებით განმტკიცდა საბჭოთა კავშირის საგარეო-პოლიტიკური პოზიციები და განუზომლად გაიზარდა მისი ავტორიტეტი მსოფლიოს ხალხთა შორის.

სწორედ ლენინმა გამოაცხადა მთელ მსოფლიოში ხალხთა ინტერნაციონალური ძმობისა და მეგობრობის იდეები. სწორედ ლენინის, ბოლშევიკების წყალობით, დიდი ოქტომბრის გამარჯვების მეოხებით ისტორიაში პირველად სახელმწიფო პოლიტიკის სტატუსი მოიპოვა ეროვნული თვითგამორკვევის, დამოუკიდებლობის, თანასწორუფლებიანობის, საშინაო საქმეებში ჩაურევლობის, მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპებმა. ახლა ეს დემოკრატიული პრინციპები სულ უფრო მეტად მკვიდრდება სახელმწიფოთა ურთიერთობაში. ეს საბჭოთა კავშირის, სოციალისტური თანამეგობრობის ყველა ქვეყნის დაუცხრომელი საქმიანობის შედეგია.

ისტორიულმა გამოცდილებამ დაადასტურა საშინაო და საგარეო პოლიტიკის მჭიდრო დიალექტიკური კავშირის შესახებ ლენინური იდეების უდიდესი ჭეშმარიტება და პრაქტიკული მნიშვნელობა.

სოციალისტური სახელმწიფოს შექმნისთანავე შესაძლებელი გახდა ამ კანონზომიერი კავშირის გამოყენება მშრომელთა ინტერესებისათვის, ხალხთა მშვიდობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის უზრუნველყოფისათვის.

ის იყო დამთავრდა სამოქალაქო ომი და დაიწყო გადასვლა მშვიდობიან მშენებლობაზე, რომ ლენინმა ჩამოაყალიბა თავისი სტრატეგიულად დიდმნიშვნელოვანი დასკვნა: საერთაშორისო რევოლუციაზე თავის მთავარ ზემოქმედებას სოციალიზმი ახდენს სამეურნეო პოლიტიკით.

„ბრძოლა მსოფლიო მასშტაბით, — ხაზს უსვამდა იგი, — ამ სარბიელზეა გადატანილი“. (იხ. ტ. 32, გვ. 556). როგორც კიდევაც განაცხადა ლენინმა, საბჭოთა კავშირის, სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნების ეკონომიკური ზრდა მათ აქტიურ საგარეო პოლიტიკასთან შეხამებით მთელ საერთაშორისო ცხოვრებაზე ზემოქმედების ნამდვილად მძლავრი ძალა გახდა, რომელიც განუხრელად უცვლის მიმართულებას მის განვითარებას სოციალიზმის, დემოკრატიისა და მშვიდობის სასარგებლოდ.

ისტორიაში ბევრი ბურჟუაზიული მოღვაწე ყოფილა, რომლებიც საბჭოთა ხუთწლიანი გეგმების ჩაშლის იმედით შორს გამიზნულ გეგმებს აწყობდნენ, „კრახს“ უწინასწარმეტყველებდნენ სოციალისტურ მეურნეობას. სსრ კავშირის სხვა მოძმე სახელმწიფოების ეკონომიკური მშენებლობის შედეგებმა მთლიანად გააბათილეს ყველა ეს ვარაუდი. მარტო ის, რომ ჩვენი ქვეყანა ახლა აწარმოებს მეტ სამრეწველო პროდუქციას, ვიდრე 1950 წელს აწარმოებდა მთელი მსოფლიო, რომ სოციალისტური ქვეყნების წილი მსოფლიო სამრეწველო წარმოებაში ამ ხნის მანძილზე გაორკეცდა, მოწმობს სოციალიზმის ეკონომიკის უდიდეს შესაძლებლობებს, იმას, თუ რა მნიშვნელოვანი ფაქტორია იგი ორი სისტემის ისტორიულ ბრძოლაში.

სოციალიზმის როგორც წარმოებისა და ცხოვრების წესის, მისი სოციალურ-პოლიტიკური ორგანიზაციისა და ზნეობრივი პრინციპების უპირატესობანი განსაკუთრებით ნათლად ჩანს კაპიტალისტური წყობილების ღრმა ყოველმხრივი კრიზისის ფონზე. ორი ფორმაციის შეჯიბრებაში სოციალიზმი, როგორც ლენინმა იწინასწარმეტყველა, ნათლად გვიჩვენებს, რომ ყველაზე სიცოცხლისუნარიანი და დინამიკურად განვითარებადი საზოგადოებრივი სისტემაა, რომელსაც ეკუთვნის მომავალი.

ჩვენს დროში რეალური სოციალიზმის ერთობლივი ეკონომიკური ძლიერება სულ უფრო და უფრო ეფექტიანად ემსახურება ხალხთა მშვიდობისა და თავისუფლების საქმეს. დაძაბულობის შენელებისაკენ შემობრუნება, საერთაშორისო ურთიერთობაში მომხდარი სხვა პოზიტიური ცვლილებები მნიშვნელოვანწილად მიღწეული იყო საბჭოთა კავშირის, სოციალისტური თანამეგობრობის ყველა ქვეყნის ყოველმხრივი პროგრესისა და იმის წყალობით, რომ მათ ახლა ისეთი ეკონომიკური და თავდაცვითი პოტენციალი, ისეთი პოლიტიკური ავტორიტეტი აქვთ, რომელთა ანგარიშის გაუწევლობა შეუძლებელია.

ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ქვეყნების ეკონომიკური ინტეგრაციის გამოცდილება მოწმობს, რომ ძლიერდება მათი მჭიდრო ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური ურთიერთმოქმედების როლი. სახალხო-სამეურნეო გეგმების კოორდინაცია, ერთობლივი გრძელვადიანი მიზნობრივი ეკონომიკური პროგრამების შემუშავება, საწარმოო სპეციალიზაცია და კოოპერირება, გაერთიანებული ძალებით მსხვილი სამრეწველო ობიექტების მშენებლობა — ყოველივე ეს ამრავლებს სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ძალებს. ჩვენი სახელმწიფოების ძმური მეგობრობისა და თანამშრომლობის ახალი ბრწყინვალე ფურცელია ისტორიაში პირველი ერთიანი საერთაშორისო ეკიპაჟის კოსმოსური ფრენა, რასაც სხვებმაც უნდა მიბაძონ. ჩვენ ნათლად ვხედავთ, რომ დღითი დღე სულ უფრო სრულად ისხამს ხორცს თავისუფალ ხალხთა ინტერნაციონალური კავშირის ლენინური იდეები.

ბოლო წლები კვლავ და კვლავ ადასტურებს, რომ თითოეული სოციალისტური ერის აყვავებასთან ერთად ყოველმხრივ ღრმავდება ძმურ სუვერენულ სახელმწიფოთა ურთიერთობა, მატულობს ერთობის ელემენტები მათს პოლიტიკაში, ეკონომიკაში, სოციალურ ცხოვრებაში, სულ უფრო მჭიდრო ხდება მათი საგარეო-პოლიტიკური ღონისძიებების კოორდინაცია. სოციალისტური ქვეყნების სულ უფრო მტკიცე შეკავშირების სული და გული, მამოძრავებელი ძალა იყო და არის მმართველი მარქსისტულ-ლენინური პარტიები, სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების თანდათანობითი დაახლოება — მისი განვითარების ეს ობიექტური კანონზომიერება, ახლანდელ და მომავალ გამარჯვებათა წყარო.

ამხანაგებო! დაძაბულობის შენელებისაკენ შემობრუნებამ, რომელიც 70-იან წლებში მოხდა, არსებითად გააჯანსაღა პლანეტის პოლიტიკური კლიმატი. თუ შევძლებთ დაძაბულობის შენელების განმტკიცებასა და გაღრმავებას, იგი მტკიცე, მყარი მშვიდობის პროლოგი შეიძლება გახდეს. ამას ისახავს მიზნად ჩვენი პარტიის მთელი მრავალმხრივი მოღვაწეობა.

საბჭოთა ხალხმა, რომელმაც თავის ზურგზე გადაიტანა ფაშიზმთან დიადი შერკინების ძირითადი სიმძიმე, კარგად იცის მშვიდობის ფასი. „ომი არასდროს აღარ უნდა იყოს“ — ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ეს სიტყვები, რომლებიც უდიდესი ემოციური ძალითა და დამაჯერებლობით აჟღერდა წიგნში „მცირე მიწა“, საბჭოთა ადამიანების ყველაზე სანუკვარ ფიქრებსა და მისწრაფებებს გამოხატავს. დიახ, ჩვენი ხალხი ღრმად მშვიდობისმოყვარეა. მაგრამ ნურავინ ნუ ეცდება სისუსტის ნიშნად მიიჩნიოს ეს მშვიდობისმოყვარეობა. საბჭოთა ხალხის აღმშენებლობითი შრომის სადარაჯოზე საიმედოდ დგანან ჩვენი სახელოვანი შეიარაღებული ძალები, რომელთა 60 წლისთავი ამას წინათ ზეიმით აღნიშნა მთელმა ქვეყანამ.

მშვიდობის გზა ძნელია, მაგრამ გვჯერა, რომ ეს წმიდათა წმიდა, მართალი საქმე, რომლისთვისაც გაბედულად იბრძვის ყველა კეთილი ნების ადამიანი, გაიმარჯვებს!

დაძაბულობის შენელებისა და მშვიდობის განმტკიცების პოლიტიკისადმი ერთგულებას საბჭოთა კავშირი დამაჯერებლად ადასტურებს გამალებული შეიარაღების შეწყვეტისათვის, განიარაღების რეალურ ღონისძიებათა განხორციელებისათვის შეუპოვარი ბრძოლით. დღეს ეს უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, რომელიც დედამიწის ყველა ადამიანის ბედს ეხება. მარტო ბოლო თვეებში საბჭოთა კავშირმა მთელი რიგი კონკრეტული ინიციატივები გამოიჩინა განიარაღების დარგში, კერძოდ, დიდმნიშვნელოვანი წინადადებაც წამოაყენა იმის თაობაზე, რომ ერთად თქვან უარი ნეიტრონულ იარაღზე. ჩვენ გადაჭრით განვაცხადეთ, რომ მისმა წარმოებამ შეიძლება გააღიდოს ახალი მსოფლიო ომის საფრთხე, გააძლიეროს გამალებული ატომური შეიარაღება. ამ საკითხში რეალისტური, კონსტრუქციული პოზიციით მიდის საბჭოთა კავშირი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სპეციალურ სესიაზე, რომელიც მაისის დამლევს იხსნება და განიარაღების პრობლემას ეძღვნება.

დაძაბულობის შენელების ვითარებაში ხელსაყრელი პირობები შეიქმნა სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა ერთმანეთისათვის სასარგებლო ურთიერთობის განვითარებისათვის, რაც ლენინს ობიექტურ ისტორიულ აუცილებლობად მიაჩნდა. ჩვენ ხტაბილური, მრავალმხრივი ურთიერთობა დღგამყარეთ ბევრ კაპიტალისტურ სახელმწიფოსთან, მათ შორის ფინეთთან, საფრანგეთთან, იტალიასთან, აგრეთვე გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან, რასაც ამ ქვეყანაში ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მომავალი ვიზიტიც ადასტურებს.

საბჭოთა კავშირი იმის მომხრეა, რომ კიდევ უფრო განვითარდეს ურთიერთობა იაპონიასთან, შორეულ აღმოსავლეთში ჩვენს მეზობელთან. ორივე ქვეყანას ფართო ასპარეზი აქვს ეკონომიკის, პოლიტიკის, კულტურის დარგში ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობისათვის. ფრიად სამწუხაროა, რომ იაპონიაში გარკვეული წრეები ჯეროვნად არ აფასებენ ამას. უფრო მეტიც, არიან ძალები, რომლებიც მას ანტისაბჭოთა პოზიციებისაკენ უბიძგებენ.

პარტია და მთავრობა დიდ ყურადღებას უთმობენ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის გაუმჯობესების საკითხებს — ამ ურთიერთობის მდგომარეობაზე ხომ დიდად არის დამოკიდებული ზოგადი საერთაშორისო პოლიტიკური კლიმატი. არსებითი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ სასარგებლო კონტაქტები დამყარდა ორივე ქვეყნის ხელმძღვანელ მოღვაწეებს, პარლამენტარებს შორის, უფრო ხშირი და ნაყოფიერი გახდა საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა შეხვედრები. ასეთი კონტაქტებისა და შეხვედრების დროს საბჭოთა ადამიანები რწმუნდებიან, რომ საბჭოთა და ამერიკელ ხალხს შორის კეთილი ურთიერთობის განვითარების მომხრენი არიან მუშები და ფერმერები, ბიზნესმენები, ბევრი პოლიტიკური მოღვაწე. ახლა, ეტყობა, საჭიროა საბჭოთა კავშირ-ამერიკის თანამშრომლობის განვითარებით ორმხრივმა დაინტერესებამ პრაქტიკული გამოხატულება პოვოს—კერძოდ, მივაღწიოთ ორივე მხარისათვის მისაღებ გადაწყვეტებს საარსებო მნიშვნელობის პრობლემების და, უწინარეს ყოვლისა, სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის საკითხის მოსაგვარებლად. ჩვენი მხრივ საამისოდ ყველაფერი კეთდება.

დაძაბულობის შენელების მატერიალიზაცია განუყრელად არის დაკავშირებული ახალგაზრდა სახელმწიფოების საერთაშორისო პოზიციების განმტკიცებასთან, განთავისუფლებული ხალხების ეროვნული ინტერესების დაცვასთან. საბჭოთა კავშირი, მთელი სოციალისტური თანამეგობრობა საქმით ისწრაფვიან განავითარონ ყოველმხრივი, თანასწორუფლებიანი ურთიერთობა იმ ქვეყნებთან, რომლებმაც კოლონიალიზმის უღელი ჩამოიგდეს და აქტიურად უწყობენ ხელს მათი დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის განმტკიცებას. სოციალისტური ქვეყნების მტკიცე ინტერნაციონალისტური პოზიციის წყალობით შესაძლებელი გახდა ამ ცოტა ხნის წინ ევროპიის რევოლუციურ ხალხს დაეცვა კანონიერი უფლებები, შექმნილიყო პირობები აფრიკის რქის რაიონში კონფლიქტის გადასაწყვეტად. საბჭოთა კავშირი კვლავაც მტკიცედ იდგება ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისათვის მებრძოლი ხალხების მხარეზე.

ჩვენს პარტიასა და მთავრობას მიაჩნიათ, რომ მშვიდობის საქმე არსებითად მოიგებდა, თუ შევძელით ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან ურთიერთობაში დაძაბულობის აღმოფხვრა. საბჭოთა ადამიანებს კარგად ახსოვთ ის დრო, როცა ჩვენს ქვეყნებს შორის თანამშრომლობა ვითარდებოდა სხვადასხვა დარგებში, როცა საბჭოთა კავშირ-ჩინეთის საზღვარი მეგობრობის საზღვარი იყო. ეს რგებდა ორივე ხალხს. კეთილი ურთიერთობის აღდგენის მისწრაფებით არის გამსჭვალული სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ამსწრინანდელი მიმართვა სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მუდმივი კომიტეტისადმი. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ კეთილი ნების აქტმა ვერ პოვა დადებითი გამოხმაურება ჩინეთის მხრივ. ჰეკინის პოზიცია მოწმობს, რომ მას ჯიუტად არ სურს პრაქტიკული საქმით განამტკიცოს თავისი განცხადებები საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის ნორმალიზაციაზე თანხმობის შესახებ, არ სურს გადაუხვიოს სოციალისტური ქვეყნებისადმი მტრულ კურსს.

ამხანაგებო! დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის დღესასწაულობის დღეებში ახალი ძალით გაისმა ჩვენი პარტიის მოწოდება იმის შესახებ, რომ კიდევ უფრო განვამტკიცოთ საერთაშორისო სოლიდარობა მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლაში. მან მხურვალე გამოხმაურება პოვა დედამიწის ყველა კუთხეში.

ჩვენს დროში განუხრელად ფართოვდება საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის გავლენა. საგრძნობლად იმტკიცებენ პოზიციებს კაპიტალის ქვეყნების კომუნისტური პარტიები. მეცნიერული სოციალიზმის იდეებს სულ უფრო მეტი მომხრე უჩნდება რევოლუციურ-დემოკრატიულ, განმათავისუფლებელ მოძრაობაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია სხვა მოძმე პარტიებთან ერთად აქტიურად იბრძვის იმისათვის, რომ განამტკიცოს კომუნისტური მოძრაობის ერთიანობა მარქსიზმ-ლენინიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპულ საფუძველზე. ნება მიბოძეთ, ამ ტრიბუნიდან გამოვთქვა მხურვალე სოლიდარობის გრძნობები, რომლებითაც ეკიდებიან საბჭოთა კომუნისტები, მთელი ჩვენი ხალხი მოძმე პარტიებს, გამოვთქვა მათი მართალი საქმის მტკიცე მხარდაჭერა! ჩვენ ისევ და ისევ სიამაყით ვრწმუნდებით, რომ ლენინის მოძღვრება ჭეშმარიტ რევოლუციონერთა იდეებისა და შემოქმედებითი შთაგონების უშრეტი წყაროა. სწორედ იმიტომაა, რომ ჩვენი კლასობრივი მოწინააღმდეგენი, ნაირ-ნაირი ოპორტუნისტები სულ უფრო მეტად უტევენ ლენინის იდეურ მემკვიდრეობას, რათა ხელიდან გაგდებინონ ეს მძლავრი რევოლუციური იარაღი კომუნისტებს. მაგრამ ისტორია დამაჯერებლად მოწმობს, რომ ასეთი ცდები ჩასაფუშად არის განწირული, მარქსიზმ-ლენინიზმის ურყევი ერთგულებაა კომუნისტური მოძრაობის ძალა, მისი ახალი გამარჯვებების საწინდარი.

ამხანაგებო! მთელ თავის საქმიანობაში ჩვენი პარტია განუხრელად ხელმძღვანელობდა და ხელმძღვანელობს ლენინური რევოლუციური თეორიით, სტრატეგიითა და ტაქტიკით, ძირეული საპროგრამო მიზნებით, რომლებიც მეცნიერულად დაასაბუთა ლენინმა. მისი დაუცხრომელი ზრუნვა მშრომელთა საარსებო ინტერესებისათვის, მისი ბრძოლა საჭირბოროტო პრობლემების გადაჭრისათვის ნიადაგ განმსჭვალულია ხვალინდელ დღეზე ზრუნვით, კომუნიზმის სრული გამარჯვების ლენინური რწმენით. ლენინი პარტიას ასწავლიდა, უფრო ფართოდ და თამამად დაეყენებინა რევოლუციური ამოცანები, ეჩვენებინა მასებისათვის ჩვენი კომუნისტური მომავლის იდეალის მთელი სიდიადე და ბრწყინვალება, წინამძღოლად ყოლოდა მშრომელებს მისი განხორციელებისათვის ბრძოლაში. ასე იქცეოდა ყოველთვის ჩვენი პარტია და ასე მოიქცევა მომავალშიც.

გაუმარჯოს მარქსიზმ-ლენინიზმს — მარად ცოცხალ ინტერნაციონალურ მოძღვრებას, რევოლუციური ბრძოლისა და კომუნისტური აღმშენებლობის დროშას!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — დიდი ლენინის პარტიას!

დიდება საბჭოთა ხალხს — კომუნიზმის შემოქმედს!

(დარბაზში ხშირად გაისმოდა ტაში).



ᲯᲐᲓᲝᲥᲐᲠᲘ ᲓᲐᲡᲢᲐᲥᲐᲠᲘ

ᲚᲔᲜᲘᲜᲣᲠᲘ ᲞᲠᲔᲛᲘᲐ — ᲝᲗᲐᲠ ᲦᲣᲓᲣᲨᲐᲣᲠᲡ

ᲡᲐᲥᲐᲠ ცენტრალურმა კომიტეტმა და **სსრ კავშირის** მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის 1978 წლის ლენინური პრემიების მინიჭების შესახებ.

ამ სასიხარულო ცნობაში აღნიშნულია, რომ მეცნიერების დარგში ლენინური პრემია მიენიჭა ჩვენს თანამემამულეს—თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ტრავმატოლოგიის, ორთოპედიისა და სამხედრო-საველე ქირურგიის კათედრის გამგეს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს **ოთარ ნასყიდას ძე ღუდუშაურს** კურგანის ექსპერიმენტული და კლინიკური ორთოპედიისა და ტრავმატოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორთან მედიცინის მეცნიერებათა დოქტორთან გაბრიელ აბრამის ძე ილზაროვთან ერთად მათ პრემია დაიმსახურეს ნაშრომების ციკლისათვის, რომლებიც შეეხება საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის დაზიანებისა და დაავადებათა მკურნალობის ახალი მეთოდების შემუშავებას, ჯანმრთელობის დაცვის ფართო პრაქტიკაში მის დანერგვას და ტრავმატოლოგიასა და ორთოპედიაში ახალი მეცნიერულ-პრაქტიკული მიმართულების შექმნას.

აკადემიკოსმა ოთარ ღუდუშაურმა ლენინური პრემია 25-წლიანი შრომითა და ძიებით მოიპოვა. ამ დროის დიდი ნაწილი — 18 წელიწადი მან მოსკოვში ტრამვატოლოგიისა და ორთოპედიის ცენტრალურ სამეცნიეროკვლევითის ინსტიტუტში გაატარა, სადაც მან შემოქმედებითი და პრაქტიკული მოღვაწეობის გზა განვლო ასპირანტობიდან კლინიკური განყოფილების გამგემდე, იქვე, გახდა მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი შემდეგ 34 წლისა — დოქტორი. 1974 წელს კი ო. ღუდუშაური საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად აირჩიეს.

როცა დასტაქარს კათედრაზე ს. ხუნდაძის სახელობის ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის კლინიკურ საავადმყოფოში ვეწვეთო, იქ უკვე დგეხვდნენ მისი სასწავლებრივი მარჯვენით გადარჩენილი ადამიანები, ვისაც უკვე გაეგო მისი შრომისა და ამაგის ესოდენ დაფასების ამბავი და მოსალოდან მოსულიყვნენ. ო. ღუდუშაური კაბინეტში დაგვხვდა.

ღვაწლმოსილ მეცნიერსა და დასტაქარს ჩვენც მივულოცეთ დამსახურებული ჯილდო და ვეთხოვეთ გაზეთ „კომუნისტის“ მკითხველებისათვის რამდენიმე სიტყვით მოეთხრო იმ შემოქმედებითი ძიებებთან, შრომითა და ბრძოლით განვლილი გზის შესახებ, რომელიც დღევანდელი გამარჯვებით დაგვირგვინდა.

გთავაზობთ მის საუბარს:

— დიდი მადლობა მოლოცვისათვის.

1953 წელს შევქმენი ორიგინალური აპარატი, რომლითაც დიდი ტრავმის მიუყენებლად შეიძლება ძვალ-სახსართა სისტემის დაზიანებათა და დაავადებათა მკურნალობა. ამ აპარატის გამოყენებამ გამოიკლინა მისი დადებითი მხარეები. მანამდე არსებული აპარატები ექსპერიმენტებისათვის მხოლოდ კუსტარული სახით გამოიყენებოდა. ჩემი აპარატის გამოშვება სერიულად დაიწყო და დღემდე ფართოდ გამოიყენება როგორც საბჭოთა კავშირში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

ამ აპარატმა შესაძლებლობა მოგვცა შეგვემუშავებინა სრულიად ახალი და ეფექტიანი მკურნალობის მეთოდები, რომლებმაც უზრუნველყო ისეთ ავადმყოფთა მკურნალობაც, რომელთა მორჩენა დღემდე შეუძლებლად მიაჩნდათ.

ახალი მეთოდებით შესაძლებელი გახდა კიდურების დაგრძელება, რამდენიც ეს საჭიროა ავადმყოფისათვის. დიდად შემცირდა მკურნალობის ვადები. რაც მთავარია, ავადმყოფი საწოლს აღარ არის მიჯაჭვული, მოძრაობს და ასე გრძელდება მისი მკურნალობა. ამ მეთოდების შემუშავებისათვის მე და გ. ილზაროვს 32 საავტორო მოწმობა გვაქვს მიღებული. მათს დასანერგად ვიყავი თითქმის ყველა სოციალისტურ ქვეყანაში.

ხშირად წკრიალებს ტელეფონები. საუბარს აღარ გვაცდიან, — იღიმება პროფესორი. ამ დროს ახალგაზრდა ქირურგი ვაჟა მარსაგიძეული შემოვიდა და რენტგენოგრამა გადასცა. ღუდუშაურმა სურათს უკმაყოფილოდ გახედა. უკაცრავად, ერთ ავადმყოფს ახლავე უნდა დავხედოო.

ოთარ ღუდუშაური სწრაფი ნაბიჯით გავიდა. დერეფანში მოწიწებით უთმობდნენ გზას და სითბოჩამდგარი თვალებით მიაცილებდნენ. მიდიოდა დასტაქარი და თან ადამიანების იმედები, მომავლის რწმენა მიჰქონდა.

ახლა ჩვენ გავაცნობთ ზოგიერთ ფაქტს, რაც პროფესორის საუბრის ერთგვარი გაგრძელება იქნება.

ამჟამად ქართველი ტრავმატოლოგები და ორთოპედები ფართოდ იყენებენ მკურნალობის სხვა მეთოდებსაც, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის კათედრაზე და მის ცენტრალურ ლაბორატორიაში რომ შეიქმნა ოთარ ღუდუშაურისა და ინჟინერ ბენციან სოლომიანსკის ხელმძღვანელობით. კერძოდ, ორი წელია, რაც შემუშავდა ახალი, ძვლის შემცველი მასალა — კერამოპლასტიკა, რომელსაც სვამენ იმ დაავადებულ ან დაზიანებულ ადგილას, სადაც უკვე ვეღარ აღდგება ძვლოვანი ქსოვილი ან სახსარი. იგი საოკეთესო შედეგს იძლევა.

ამ რამდენიმე წლის წინათ ინგლისელი ქირურგები თბილისში სპეციალურად ჩამოვდინენ ოთარ ღუდუშაურთან აღიარებული მეთოდების შესასწავლად და დასაუფლებლად. ამავე მეთოდების ასათვისებლად მისსში თბილისში ჩამოვლენ პოლონელი და უნგრელი სპეციალისტები, მაისის დამლევს კი ოთარ ღუდუშაური ინგლისელი კოლეგების თხოვნით მათს ქვეყანას ეწვევა, რათა კოლეგები თავის ხელოვნებას აზიაროს.

აკადემიკოსს შეაგვიანდა, საქმემ ასე მოითხოვა. რა გაეწყობა, ვტოვებთ მის „რეზიდენციას“ და თან ვიგვეგვება იმის ფიქრი, რომ მასავით შესანიშნავი მოქალაქე, მეცნიერი და დასტაქარი უმრავლოს მაშულს.

ბ. ᲓᲣᲠᲒᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

• • •

ᲡᲣᲠᲐᲗᲝᲑᲘ: ოთარ ღუდუშაური ოპერაციის წინ.

ს. ᲙᲘᲚᲐᲫᲘᲡ ფოტო.

ᲡᲐᲙᲚᲔᲡᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲐ

ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ წლის 20 აპრილს ღამით გაურკვეველი კუთვნილების თვითმფრინავმა ბარენცის ზღვის მხრიდან დაარღვია სსრ კავშირის საჰაერო სივრცე მურმანსკის რრდილო-აღმოსავლეთით მდებარე რაიონში და, განაგრძო ფრენა სამხრეთის მიმართულებით, ღრმად შეიჭრა სსრ კავშირის ტერიტორიაზე.

დამრღვევი თვითმფრინავის შესახვედრად გაგზავნილი ქვეყნის საჰაერო თავდაცვის ავიაგამანადგურებლები ღამის პირობებში თვითმფრინავის ეკოლოციებითა და საბორტო შუქთა არაერთგზის აანთებლევდნენ მას კომანდებს გაჰყოლოდა ახლომდებარე აეროდროომებზე დასაჯდომად, მაგრამ თვითმფრინავმა არ ალიქვა ეს კომანდები და დაჯდა ტბაზე კარელიის ასს რესპუბლიკის ქალაქ კემის რაიონში საბჭოთა კავშირის საჰაერო სივრცეში შემოსვლიდან მხოლოდ ორი საათის შემდეგ.

დაჯდომის შემდეგ გამოირკვა, რომ დამრღვევი თვითმფრინავი „ბოინგ-707“ ეკუთვნის სამხრეთ კორეის ავიაკომპანიას.

საბჭოთა კავშირის კომპეტენტური ორგანოები აწარმოებენ საბჭოთა კავშირის საჰაერო სივრცის დარღვევის მიზეზების გამოძიებას.

მგზავრები და თვითმფრინავის ეკიპაჟი მიიყვანეს ახლო-მდებარე დასახლებულ პუნქტში, ხორციელდება სსრ კავშირის ტერიტორიიდან მათი გაგზავნის ღონისძიებანი.

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲢᲣᲠᲘ

20 Ა�პᲠᲘᲚᲘ უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მესამე ტური დაიწყო. ამ დღეს მოსკოვის „ლოკომოტივმა“ საკუთარ მინდორზე მიიღო ბაქოს „ნეფტჩი“. რკინიგზელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 2:1. გუშინ კი მოსკოვის „ტორპედომ“ უმასპინძლა ალმა-ათის „კაირატს“. მატჩი დამთავრდა „ტორპედოს“ გამარჯვებით, ანგარიშით 4:0.

დღეს ოთხი მატჩია: „ზარია“ (ვოროშილოვგრადი)-ჩერნომორეცი“ (ოდესა), „დინამო“ (კიევი)-„შახტიორი“ (დონეცკი), „სპარტაკი“ (მოსკოვი)-„დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი), „ზენიტი“ (ლენინგრადი)-„პახტაკორი“ (ტაშკენტი). ხვალ ცხა მასპინძლობს ერევნის „არარატს“, ზეგ კი მოსკოვის დინამოელები თბილისელ თანაკლუბელებს მიიღებენ.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲚᲘ�გᲐ

ᲓᲐᲛᲐᲠᲪᲮᲔᲑᲐ ᲡᲢᲣᲛᲠᲐᲓ

ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ პირველი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მესამე ტურის მატჩები.

ქუთაისის „ტორპედომ“ კიმინოიეში ადგილობრივ „ნისტრუსთან“ წააგო შეხვედრა ანგარიშით 0:3.

დანარჩენი შეხვედრების შედეგები ასეთია: „დინამო“ (მინსკი)-„სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) — 2:0, „კარპატი“ (ლვოვი)-„მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) — 3:2, „სპარტაკი“ (ივანოო-ფრანკოვსკი)-„ტავრია“ (სიმფეროპოლი) — 0:0, „ყუბანი“ (კრასნოდარი)-„ურალმაში“ (სვერდლოვსკი) — 2:0, „დინამო“ (ლენინგრადი)-„პამირი“ (დუშანბე) — 1:1, „შინიკი“ (იაროსლავლი)-„კოლხოზჩი“ (აშხაბადი) — 0:0, „ასკ (ოდესა)-„ასკ (დონის როსტოვი) — 1:1, „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი)-„კუზბასი“ (კემეროვო) — 2:1.

ᲡᲝᲩᲘᲡ ᲙᲝᲠᲢᲮᲖᲔ

ᲡᲝᲩᲘᲨᲘ დამთავრდა საერთაშორისო გუნდური შეჯიბრება ჩოგბურთში, რომელშიც პირველობა დაისაკუთრა სსრ კავშირის მეორე ნაკრებმა. მან ფინალში სსრ კავშირის პირველი ნაკრები დამარცხა ანგარიშით 3:4. ე. ელისეენკო-ს. ჩერნევა — 6:2, 6:3; მ. ტკაჩენკო-ვ. სოკოლოვა — 2:6, 2:6; გ. ელერდაშვილი-ს. ლეონიუკი — 7:5, 6:1; ს. ტიხონოკო-ს. ტეტერინი — 3:6, 6:4, 2:6; ელისეენკო, ტკაჩენკო-სოკოლოვა, ჩერნევა — 5:7, 0:6; ელერდაშვილი, ტიხონოკო-ლეონიუკი, ტეტერინი — 7:6, 6:7, 6:4; ელისეენკო, ელერდაშვილი-ჩერნევა, ლეონიუკი — 1:6, 3:6.

ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘ ᲠᲘᲜᲒᲘᲗ

ᲔᲡ მოხდა ფილიპინების ქალაქ **ოროში** — პროფესიონალ მოკრივეთა ასპარეზობაზე. მეათე **რაუნდის** შემდეგ მოკრივე ხ. ტანსიომ სეკუნდანტსა და რეფერის განუცხადა, რომ მან უურთასმენა დაკარგა. მისი ჩივილი უურად არავინ იღო და მოკრივეს ბრძოლის განგრძობა ურჩიეს. ტანსიომ კიდევ რამდენიმე მძიმე დარტყმა მიიღო, 15-რაუნდიანი ორთაბრძოლა დაამთავრა, მაგრამ იქვე დაკარგა გრძნობა და მალე გარდაიცალა.

ᲐᲛᲘᲜᲓᲘ

ᲓᲦᲔᲡ დასავლეთ საქართველოს ცალკეულ რაიონებში მოსალოდნელია წვიმა, რიონის ხეობაში იქროლებს წამში 10-15 მეტრი სიძლიერის აღმოსავლეთის ქარი, ბარში 15-20, მთაში 9-14 გრადუსი სითბო იქნება.

აღმოსავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ რაიონებში მოსალოდნელია მცირე წვიმა, ზოგან ელჭექი, სუსტი ქარი, ტემპერატურა ბარში 13-18, მთაში 9-14 გრადუსი სითბო.

თბილისში მოსალოდნელია მცირე წვიმა და ელჭექი, სუსტი ქარი, ტემპერატურა 16-18 გრადუსი სითბო.

ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲓᲘᲐᲜᲔᲑᲖᲔ

ᲓᲝᲠᲢᲛᲣᲜᲓᲘ. გუშინ ჩვენს კორესპონდენტთან ტელეფონით საუბარში მსოფლიოს ჩემპიონმა ნონა გაფრინდაშვილმა თქვა:

ბრძოლა პირველი ადგილისათვის ძალად გაძლეკდა. მეცხრე ტურში ჩემი შეხვედრა ოატატ ონგგესეთთან (გფრ) ყაიძით დამთავრდა. დიდოსტატმა ფარაგომ (უნგრეთი), ოოიელიც ჩემთან ერთად ლიდერობდა, წაგო შეხვედრა საერთაშორისო ოსტატ ტატაისთან (იტალია), დიდოსტატმა კინმა (იხგლისი) ძოუგო ოსტატ ტომიხს (იუგოსლავია), დიდოსტატმა გიპსლისმა — ოსტატ კირსელს (გფრ).

ლიდერთა ძდგომარეობა ორი დასკვნითი ტურის წინ ასეთია: ძე და კინს 6,5-6,5 ქულა გვაქვს, ფარაგოსა და გიპსლისს — 6-6, ანდერსოოს — 5,5 ქულა და 1 გადადებული პარტია.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. საქართველოს ჩემპიონატის მეათე ტურში მოულოდნელი რამ მოხდა, ნეუროხოვა-ჩიქოვანის პარტიაში ჩიქოვახს ((ᲛᲔᲓᲔᲢᲘ ᲮᲐᲝᲚᲘᲡᲐ ᲰᲭᲛᲝᲓᲐ, მაგრამ საკუთარი გაცხადებით „რაღაც ძოეჩვეხა“ და, თვით შესთავაზა ყაიძი ᲛᲔᲢᲝᲛᲔᲡ; ნეუროხოვმა, ცხადია, სიამოვნებით მიიღო ეს წინადადება. გეოდევანიშვილძა ორი პაიკი წაგო დადიანთან და უიმედო მდგომარეობაში გადაღო პარტია. გუშინ დილით შეხვედრის გახახლებისას გედევანიძემ წაგო. ეს მისი პირველი დამარცხებაა ამ ტურნირში.

საქართველოს ჩემპიონმა სტეოუამ ოიუგო ცქიტიშვილს; ხაიჩიკა აიძეკა კოზმინი შეეწყვეტა წინააღმდეგობა, უეილავამ სძლია ტურაძეკს, ხანა ოოსელიანმა — არჩვაძეს, შახტახტინსკიმ — ჩაჩიბაიას, კაპანაძემ — მაჯარაშვილს. ლომიძე და ციხელაშვილი უაიმზე შეთანხმდნენ.

10 ტურის შემდეგ 9,5 ქულით კვლავ ლიდერობს სტეოოუ. მას ნახევარი ქულით ჩამორჩება ზაიჩიკი. 8,5 ქულა აქვს გედევანიშვილს, 8 — უეილავას, 7,5 — ჩიქოვანს. ნანა ოოსელიანმა, რომელიც ბოლო ტურებში ჩინებულად თამაშობს (4 ქულა ბუთი შეხვედრიდან) 6 ქულა მოაგროვა.

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ

ᲓᲐᲑᲐᲠᲐᲜᲘᲨᲘ. ჩელიაბინსკში გრძელდება სსრ კავშირის პირად-გუდფური ჩემპიონატი სპორტულ ტანვარჯიშში.

ქალთა გუდებს შორის პირველობა მიეკუთვნა „ბურევესტნიკის“ ნაკრებს. ვაუთა შორის, მოსკოველმა ვ. მარკელოვმა იმარჯვა. მან 111,125 ქულა დაგროვა და პირველობა მოიპოვა. მეორე-მესამე ადგილები გაიყვეს ერევნელმა ე. აზარიანმა და ვოროხეველმა ა. ტკაჩოვმა — 110,30 ქულა თითოეულს.

ᲙᲚᲐᲡᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲘᲓᲐᲛᲐ. გომელში დამთავრდა ᲭᲐᲒᲘᲗᲐ საკავშირო ჩემპიონატი, საქართველოდან თავი ისახელა ᲭᲣᲗᲐᲗᲘᲡᲔᲚᲛᲐ მ. კოპალიანმა. იგი უძლეველი იყო 60 კგ წონის ათლეტებს შორის.

ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲞᲘᲓᲐᲛᲐ. თელავში დამთავრდა საქართველოს პირად-გუნდური ჩემპიონატი, გუნდურ ასპარეზობაში ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲣᲤᲠᲝᲡᲐᲜᲘ „ᲑᲣᲠᲔᲕᲔᲡᲢᲜᲘᲙᲘᲡᲗᲐᲜ“ მოვიდა ᲔᲑᲘ, მეორე ადგილზე გავიდა „განთიადი“, მესამეზე — „სპარტაკი“. პირად ასპარეზობაში ᲧᲝᲩᲘᲗᲘ კატეგორიების მიხედვით პირველ ადგილებზე გავიდნენ: ზ. ᲨᲣᲥᲐᲫᲔ, დ. ᲐᲑᲐᲫᲐ (ორივე — თბილისი), მ. ᲩᲮᲐᲘᲫᲔ (მცხეთა), გ. ᲭᲘᲜᲭᲐᲫᲔ, დ. ᲒᲝᲒᲝᲣᲠᲘ, გ. ᲛᲐᲯᲐᲡᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ (სამტვე — თბილისი), ნ. ᲑᲣᲗᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ (მცხეთა), ა. ᲛᲐᲘᲡᲣᲠᲐᲫᲔ, ვ. ᲛᲐᲠᲛᲐᲜᲘᲐ (ორივე — სოხუმი) და ზ. ᲜᲘᲙᲣᲠᲐᲫᲔ (თბილისი).

რედაქტორი
Დ. ᲛᲔᲓᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲡᲐᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

22 ᲐᲞᲠᲘᲚᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ

09.00 — „ᲡᲐᲠᲒᲔᲑᲘ“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვი—ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲓᲠᲝ). 09.30 — „ᲒᲐᲜᲗᲘᲐᲓᲘ“, 10.00 — დოკუმენტური ფილმი, 10.10 — კანტატა „ᲩᲘᲪᲐ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ“ (მოსკოვიდან), 10.35 — „თქვენთვის, მშობლებო!“ „ულიანოვების ოჯახი“ (გადაცემა მოსკოვიდან) 11.05 — მუსიკალური პროგრამა „ᲓᲘᲚᲘᲡ ᲤᲝᲜᲢᲐ (მოსკოვიდან), 11.35 — „საბჭოთა სახვითი ხელოვნება“ — ლენინიანა (მოსკოვიდან), 12.00 — შეეხსწავლოთ ქართული ენა, 12.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲛᲘ ᲒᲐᲖᲗᲐᲡᲣᲚᲘ“, 13.30 — ვ. მაიაკოვსკი. „რევოლუციური მარში“ ფერადი (გამეორებით), 14.05 — დოკუმენტური ფილმი, 14.25 — მხატვრული ფილმი „ᲚᲔᲜᲘᲜᲘ 1918 ᲬᲚᲘᲡ“, 15.50 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის. (ფერადი), 16.45 — დოკუმენტური ფილმი, 17.00 — „ᲨᲐᲑᲐᲗᲝᲜᲘᲡ ᲓᲦᲘᲣᲠᲘ“ (მოსკოვიდან), 17.20 — „თბილისი და თბილისელები“ — სატელევიზიო ჟურნალი, 17.50 — მულტიპლიკაციური ფილმი, 18.05—კონცერტი, 18.45—„ᲛᲝᲐᲛᲑᲣ“—საინფორმაციო პროგრამა. (ფერადი), 19.15—„მეცხრე სტუდია“ (მოსკოვიდან), 20.15—მხატვრული ფილმი „ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲒᲖᲘᲗ“ —„მოსფილმისა“ და „დეფფს“ ერთობლივი ნაწარმოები (მოსკოვიდან), 22.00 — „ᲕᲠᲛᲘᲐ“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.35 — „კინოლენინიანა“, 23.25 — ახალი ამბები.

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ

17.00 — ბავშვებისათვის მხატვრული ფილმი „ᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲘ, ვიოლინი და ძაღლი კლიაქსა“ (ფერადი), 18.30 — მულტიპლიკაციური ფილმები, 19.20 — მხატვრულ-დოკუმენტური ფილმი „ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲨᲕᲘᲪᲐᲠᲘᲐᲨᲘ“, 21.00 — კონცერტი, 21.40 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ᲚᲔᲜᲘᲜᲣᲠ ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲨᲘ“.

23 ᲐᲞᲠᲘᲚᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ

06.38 — „ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲝᲐ-ᲑᲐᲠᲘᲡ ᲞᲐᲜᲒᲔᲑᲘ“, 08.00 გაზეთ „ᲞᲠᲐᲕᲓᲘᲡ“ მიმოხილვა (მოსკოვიდან) , 08.33 — საოჯახიერო ბუნიკის კონცერტი, 09.15 — რუსეთის ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲖᲗᲘᲗᲘᲡ მიმოხილვა, 09.30—რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერის“ საკვირაო გამოშვება, 10.00 ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე. (მოსკოვიდან), 14.40 — გადაცემათა პროგრამა, 11.45 — „ᲑᲣᲜᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲠᲐᲓᲘᲝᲐᲒᲘᲝᲜᲘ“, 12.00 — „ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲙᲝᲜᲢᲘᲜᲔᲜᲢᲔᲑᲘᲗ“ (მოსკოვიდან), 12.15 — „ᲞᲝᲔᲢᲘ ᲛᲘᲙᲠᲝᲤᲝᲜᲘᲡ“ — Ზ. ᲑᲝᲚᲥᲕᲐᲫᲔ, 13.30 — ᲐᲮᲚᲐᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ. „ᲛᲣᲡᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲐᲗᲘ“, 14.30 — „ᲤᲘᲖᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ ᲓᲐ ᲡᲞᲝᲠᲢᲘ“. რადიოჟურნალი, 15.45 — მუსუბუი მუსიკა, 16.50 — განცხადებები, 17.15 მოსწავლეთათვის. რადიოდადგმა „ᲙᲠᲐᲖᲜᲘᲡ“ (ᲬᲐᲕᲘᲚᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ), 19.15 — კონცერტი „თქვენი თხოვნით, მეგობრებო!“ 20.30 — თ. დონეაშვილი. „ᲐᲚᲐᲜᲘᲜᲘᲡ“. რადიოდადგმა, 21.43 — გამოჩენილ მუსიკოს-შემსრულებელ თ ა კონცერტი, 22.50 — „ᲡᲕᲐᲚ — რადიოთი“, 23.30 — ვ. აზარაშვილი. სიმღერები.

ᲗᲣᲚᲐᲢᲝᲠᲘ

22 ᲐᲞᲠᲘᲚᲘ

Ზ. ᲤᲐᲚᲐᲮᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲝᲞᲔᲠᲘᲡᲐ და ᲑᲐᲚᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲣᲠᲘ — ᲛᲗᲘᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲑᲐ; Შ. ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲣᲠᲘ — ᲩᲘᲚᲔᲠᲘᲡ ᲡᲢᲣᲓᲘᲐ (ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡᲓᲐᲜ), 11.35 — „ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲡᲕᲘᲗᲘ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ“ — ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲐᲜᲐ (ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡᲓᲐᲜ), 12.00 — ᲨᲔᲕᲘᲡᲬᲐᲚᲝᲗ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲔᲜᲐ, 12.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲛᲘ ᲒᲐᲖᲗᲐᲡᲣᲚᲘ“, 13.30 — ვ. მაიაკოვსკი. „ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲣᲠᲘ ᲛᲐᲠᲨᲘ“ ფერადი (გამეორებით), 14.05 — დოკუმენტური ფილმი, 14.25 — მხატვრული ფილმი „ᲚᲔᲜᲘᲜᲘ 1918 ᲬᲚᲘᲡ“, 15.50 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის. (ფერადი), 16.45 — დოკუმენტური ფილმი, 17.00 — „ᲨᲐᲑᲐᲗᲝᲜᲘᲡ ᲓᲦᲘᲣᲠᲘ“ (მოსკოვიდან), 17.20 — „თბილისი და თბილისელები“ — სატელევიზიო ჟურნალი, 17.50 — მულტიპლიკაციური ფილმი, 18.05—კონცერტი, 18.45—„ᲛᲝᲐᲛᲑᲣ“—საინფორმაციო პროგრამა. (ფერადი), 19.15—„მეცხრე სტუდია“ (მოსკოვიდან), 20.15—მხატვრული ფილმი „ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲒᲖᲘᲗ“ —„მოსფილმისა“ და „დეფფს“ ერთობლივი ნაწარმოები (მოსკოვიდან), 22.00 — „ᲕᲠᲛᲘᲐ“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.35 — „კინოლენინიანა“, 23.25 — ახალი ამბები.

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ

17.00 — ბავშვებისათვის მხატვრული ფილმი „ᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲘ, ვიოლინი და ძაღლი კლიაქსა“ (ფერადი), 18.30 — მულტიპლიკაციური ფილმები, 19.20 — მხატვრულ-დოკუმენტური ფილმი „ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲨᲕᲘᲪᲐᲠᲘᲐᲨᲘ“, 21.00 — კონცერტი, 21.40 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ᲚᲔᲜᲘᲜᲣᲠ ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲨᲘ“.

ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ

ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ ᲙᲠᲔᲛᲚᲨᲘ

21 ᲐᲞᲠᲘᲚᲘ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა კრემლში მიიღო იაპონიის მიწათმოქმედების მეტეოროლოგიის და თევზჭერის მინისტრი ი. ნაკაგავა, რომელიც მოსკოვში ჩამოვიდა მოლაპარაკებისა და თევზის მეურნეობის დარგში საბჭოთა კავშირ-იაპონიის თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების მომზადებასთან. შეეხნენ აგრეთვე შეიარაღების შეზღუდვისა და განიარაღების სხვა საკითხებსაც.

გაიმართა აგრეთვე აზრთა გაზიარება ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობის მოწესრიგ ე ბ ის პრობლემისა და ზოგიერთი სხვა საერთაშორისო საკითხის გამო.

(საკდესი).

ᲛᲘᲤᲠᲘᲜᲐᲕᲡ „ᲙᲝᲡᲛᲝᲡ-1003“

1978 ᲬᲚᲘᲡ 20 ᲐᲞᲠᲘᲚᲡ საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-1003“.

თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას. აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას.

□

ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ მეგობრობის სახლში გაიმართა საღამო, რომელიც მიეძღვნა საბჭოთა კავშირის არაბულ ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების დაარსების 20 წლისთავს. გამოსულებმა აღნიშნეს, რომ საზოგადოება დიდ მუშაობას ეწევა, რათა საბჭოთა ადამიანებს გაიცნოს არაბი ხალხების ცხოვრება, ისტორია და კულტურა.

(საკდესი).

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲛᲝᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲔᲑᲐ

21 ᲐᲞᲠᲘᲚᲘ კრემლში მოლაპარაკება განაგრძეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ს. ვენსმა.

მათ ძირითადი ყურადღება დაუთმეს იმ საკითხების შემდგომ განხილვას, რომლებიც დაკავშირებულია სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის შესახებ შეთანხმების მომზადებასთან. შეეხნენ აგრეთვე შეიარაღების შეზღუდვისა და განიარაღების სხვა საკითხებსაც.

გაიმართა აგრეთვე აზრთა გაზიარება ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობა მოწესრიგ ე ბ ის პრობლემისა და ზოგიერთი სხვა საერთაშორისო საკითხის გამო.

(საკდესი).

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲠᲔᲛᲚᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲨᲘ

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ

ᲓᲦᲔᲜᲘᲐᲜᲐᲒ იზრდება საბჭოთა მეცნიერების როლი ქვეყნის ეკონომიკური ძლიერების გადიდებაში. მის ახალ დიდ მიღწევებს მოწმობს მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში თ